მეტროპოლიტენის პოლიცია სასექტემბროდ ემზადება A3

ანტიკრიმინალური ოპერაციისას პანკისელი ქისტი კრიმინალი დააკავეს A3

საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენების ქრონიკა A4

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

კვირა, 1 სექტემბერი, 2002 წელი. №91

ფასი 50 თეთრი

პუტინი შევარდნაძის წერილებს არ პასუხობს

მოსკოვში ამბავს ჟურნალისტებიც ჩაიტანენ

ეკა კვესიტაძე

მას შემდეგ, რაც პრეზიდენტ შევარდნაძის ნათქვამი, რომ გილაევი განათლებული კაცია, რუსეთის საინფორმაციო საშუალებებმა და ოფიციალურმა პირებმა, პრეზიდენტ პუტინის ჩათვლით, არაერთხელ გამოიყენეს საქართველოს საწინააღმდეგო ერთ-ერთ მთავარ არგუმენტად, შევარდნაძე გუშინ უცხოელ ჟურნალისტებთან შეხვედრაზე იმავეს აცხადებდა:

"ჩემი მონაცემებით, ის მართლა განათლებული კაცია, მაგრამ დანაშაულს განათლებული ადამიანებიც სჩადიან."

ძნელი სათქმელია, რამდენად მიაქცევს ყურადღებას ამ წინადადების მეორე ნაწილს რუსული მასმედია, რომლის წარმომადგენლები საკმაოდ დიდი შემადგენლობით ესწრებოდნენ პრეზიდენტთან გუშინდელ შეხვედრას. უფრო მოსალოდნელია, რომ ისევ ფართოდ მოხდება იმ ციტატის ტირაჟირება, რომელშიც შევარდნაძე კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ რუსეთის მიერ ტერორისტად გამოცხადებულ გილაევს მაღალი ინტელექტუალური მონაცემები აქვს. ანუ, მოსალოდნელია, რომ იმავე არგუმენტით ტერორისტებთან

გაგრძელება A2 გვერდზე

პრეზიდენტის მოლოდინში

გესო გულაშვილის ფოტო

ჩეჩნეთის კონფლიქტში უცხოელების ჩარევა სულ უფრო რეალური ხდება

გიორგი ხელაშვილი

ბოლო ხანს ჩეჩნეთის თითქმის მივიწყებული პრობლემა კვლავ მსოფლიო პოლიტიკის აქტუალურ საკითხად იქცა. სულ უფრო ხშირად გაისმის ხმები კონფლიქტის არა რუსული, არამედ საერთაშორისო ძალისხმევით მოგვარების შესახებ.

რუსეთმა პანკისის ხეობაში პოლიტიკურად ისე ღრმად შეტოპა, რომ გამოსავალს ვეღარ პოულობს. პანკისის გარშემო ატეხილი ხმაური კრემლს ბუმერანგივით უბრუნდება და შეიძლება საერთაშორისო ზენოლის გაძლიერებად, ჩეჩნეთის ომის წამგებიან დასასრულად, ხოლო პუტინს - არჩევნების წაგებადაც კი დაუჯდეს.

რუსული სამხედრო ავიაციის მიერ საქართველოს დაბომბვის შემდეგ მსოფლიოს პოლიტიკური წრეების და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ყურადღება ჩეჩნეთის პრობლემის მიმართ შესამჩნევად გაიზარდა, რაც აუცილებლად საჭიროებს ახსნას.

ჩეჩნეთზე ყურადღების გამახვილების ამხსნელი პირველი ვერსია შეერთებული შტატების მხრიდან ერაყის წინააღმდეგ ომში რუსეთის დაყოლიებას ან, სულ მცირე, მოსკოვის მიერ ნეიტრალიტეტის შენარჩუნებას უკავშირდება. მეორე ვერსიით კი შეერთებული შტატები კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში თავისი გავლენის გაძლიერების ახალ ეტაპს იწყებს.

ორივე ვერსია რუსეთსა და შეერთებულ შტატებს შორის ურთიერთობებს უტრიალებს. გასული წლის 11 სექტემბრიდან ერთი წლის გასვლის შემდეგ რუსეთ-ამერიკის ურთიერთობებში ძველმა პრობლემებმა იჩინა თავი. რასაკვირველია, განხეთქილებაზე ლაპარაკი ჯერ ადრეა, მაგრამ ორ ქვეყანას შორის უთანხმოება აშკარად გამოიკვეთა. საინტერესოა, რომ უთანხმოება არა შეერთებული შტატების, არამედ რუსეთის მიზეზით დაიწყო. თუ 11 სექტემბრის შემდეგ მოსკოვი თავს იკავებდა ამერიკის მტრებთან ურთიერთობის აფიშირებისაგან, წლევანდელი ზაფხული "ბოროტების ღერძის" სახელმწიფოებთან დაახლოების აქციების მთელი კასკადით აღინიშნა – ივლისში რუსეთმა გამოაცხადა, რომ ირანში მშენებარე ბირთვული რეაქტორის გარდა, თეირანისთვის კიდევ 5 რეაქტორს ააგებდა; აგვისტოში კრემლმა გამომწვევი განცხადება გააკეთა ერაყთან 40-მილიარდიანი ხელშეკრულების დადების თაობაზე; იმავე აგვისტოში პუტინი პირადად შეხვდა ჩრდილოეთ კორეის ლიდერს კიმ ჩენ ირს და მსოფლიოს თვალში ამ ავტორიტარული კომუნისტური ქვეყნის მთავარი მოკავშირის სტატუსიც დაიბრუნა. ამას შეერთებული შტატების მოკავშირე სახელმწიფოს – თუ საქართველო ასე შეიძლება მოვიხსენიოთ – დაბომბვა და შემდეგ დაბომბვის ფაქტის უარყოფა მოჰყვა.

გაგრძელება A2 გვერდზე

ღონღაძის მკვლელობის გამო კიევის პროკურორი დააპატიმრეს

უკრაინის გენერალურმა პროკურატურამ დააპატიმრა კიევის ერთ-ერთი რაიონის პროკურორი სერგეი ობოზოვი. პროკურორის დაპატიმრება დაკავშირებულია ჟურნალისტ გიორგი ღონღაძის მკვლელობის საქმესთან. ასეთი განცხადება გააკეთა უკრაინის გენერალური პროკურორის მოადგილემ ვიქტორ შოკინმა. თუმცა, მას პროკურორის ბრალეულობის შესახებ კომენტარი არ გაუკეთებია და არც იმაზე უსაუბრია, თუ რა კავშირი ჰქონდა პროკურორს გიორგი ღონღაძის გახმაურებულ მკვლელობასთან.

ჟურნალისტი გიორგი ღონღაძე 2000 წლის 16 სექტემბერს უგზოუკვლოდ დაიკარგა. მოგვიანებით, კიევის პერიფერიაში იპოვეს თავმოჭრილი ცხედარი. ექსპერტიზამ კარგა ხნის კვლევის შემდეგ დაადგინა, რომ მოკლული გიორგი ღონღაძე იყო. თუმცა, ჟურნალისტის ახლობლები ექსპერტიზის დასკვნას არ დაეთანხმნენ და დღემდე ითხოვენ დამატებითი ექსპერტიზისა და

გაგრძელება A3 გვერდზე

პიტერ შოუ პანკისში ჰყავთ

თამარ კაკიტაძე

საერთაშორისო ორგანიზაციებმა საქართველოს პრეზიდენტს პიტერ შოუს საქმე კიდევ ერთხელ შეახსენეს. **„დაუყოვნებლივ იქნეს მიღებული ზომები ბრიტანეთის მოქალაქის - პიტერ შოუს გათავისუფლებასთან დაკავშირებით,"** - ნათქვამია ევროპარლამენტის წევრის - გლენის კინოკის მკაცრ წერილში, რომელიც ედუარდ შევარდნაძეს ევროკომისიის საგანგებო რწმუნებულმა დენის კორბოიმ გადასცა. სხვათა შორის, თუ დროულად არ დადგინდებოდა ბრიტანელი ბიზნესმენის ადგილსამყოფელი და არ მოხდება მისი გათავისუფლება, ევროკავშირი საქართველოს დაფინანსების შეწყვეტითაც დაემუქრა.

ვერ გეტყვით, საერთაშორისო ორგანიზაციების მუქარამ რამდენად გამოაფხიზლა ქართული ოპერატიული სამსახურები, მაგრამ ფაქტია, აღნიშნული წერილიდან რამდენიმე დღეში, კერძოდ კი გუშინ, პანკისის ხეობაში მყოფმა შინაგან საქმეთა მინისტრმა ოფიციალურად განაცხადა: პიტერ შოუ გამტაცებლებს პანკისში ჰყავთ და მას უახლოეს მომავალში გავათავისუფლებთო. მიუხედავად ამისა, ძალოვანთა სპეცჯგუფები ბრიტანელი ბიზნესმენის გასათავისუფლებელი ოპერაციის დაწყებას ჯერჯერობით არ ჩქარობენ. მართალია, შინაგან საქმეთა და უშიშროების მინისტრები არ გამორიცხავენ, რომ ანტიკრიმინალური ოპერაცია უსისხლოდ არ დასრულდება, მაგრამ, მინისტრთა თქმით, სამართალდამცველები ყველაფერს აკეთებენ, რომ მძევლების სიცოცხლეს საფრთხე არ დაემუქროს.

აღმოჩნდება თუ არა პიტერ შოუ პანკისის ხეობაში და შეძლებენ თუ არა ქართველი სამართალდამცველები მის გათავისუფლებას, ამას მომავალი გვიჩვენებს. რაც შეეხება პიტერ შოუს გატაცების საქმეს, გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილმა ბრიტანელი ბიზნესმენის საქმის გამოძიება, ფაქტობრივად, ამოწურა და ახალ ინფორმაციას ისინიც ოპერატიული სამსახურებისგან ელიან. **"ჩვენს ხელთ არსებული ყველა ინფორმაცია გადამოწმებულია, ჩავატარეთ ყველა საგამოძიებო მოქმედება არსებული მასალების მიხედვით. დღეისთვის გამოძიების ფუნქციები ამოწურულია, ველოდებით ოპერატიული ინფორმაციების რეალიზაციას და მას შემდეგ ძიება განახლდება,"** – განაცხადა ჩვენთან საუბრისას პიტერ შოუს საქმის გამომძიებელმა გიორგი ნოზაძემ.

გამოძიებამ უკვე დაასრულა "აგრობიზნესბანკის'' თანადირექტორის საფინანსო მოღვაწეობის შემოწმება. ამოღებულია პიტერ შოუს პირადი ნივთები, რომლებიც მან გატაცებამდე ერთი დღით ადრე თბილისის აეროპორტის შემნახველ საკანში ჩაბარა. სხვათა შორის, სამართალდამცველებმა ბრიტანელი ბიზნესმენის პირად დოკუმენტებში საეჭვო ჯერჯერობით ვერაფერი აღმოაჩინეს.

გაგრძელება A3 გვერდზე

ლოტკინის გორაზე და ელიას მთაზე საერთო მრიცხველებს დადგამენ

სოფო კვინტრაძე

გამრიცხველიანების პროცესი, რომელსაც ენერგოგამანაწილებელი კომპანია "ეი-ი-ეს თელასი" თბილისში აწარმოებს, ქალაქის რამდენიმე რაიონში არც კი დაწყებულა. მოსახლეობას კი ჩაბნელებული ზამთრების მკაცრი გამოცდილება აქვს, რადგან თბილისის იმ უბნებს, სადაც მრიცხველები გარეთ არ არის გამოტანილი, ზამთრის პერიოდში "ეი-ი-ეს თელასი" საკმაოდ შეზღუდულად აწვდის ელექტროენერგიას. ამ მხრივ რთული მდგომარეობაა ლოტკინის გორასა და ელიას მთაზე. "ეი-ი-ეს თელასს" გადაწყვეტილი აქვს, ინდივიდუალური მრიცხველების დადგმამდე, ამ უბნებში დროებით საერთო მრიცხველები დააყენოს.

ამ ინიციატივით კომპანიამ ენერგეტიკის მარეგულირებელ კომისიას უკვე მიმართა. "ეი-ი-ეს თელასის" გენერალური დირექტორი იგნასიო ირიბარენი აცხადებს, რომ იგი საერთო მრიცხველების დადგმის მომხრე ყოველთვის იყო. ირიბარენმა თავად მოინახულა რამდენიმე უბანი და მოსახლეობასაც ესაუბრა. "ეი-ი-ეს თელასში" ვარაუდობენ, რომ საერთო მრიცხველების დამონტაჟება 2003 წლის დადგომამდე უნდა დასრულდეს. ამავე პერიოდისათვის უნდა დამთავრდეს ინდივიდუალური მრიცხველების დადგმაც დარჩენილ უბნებში, მათ შორის, მთაწმინდის რაიონში.

ჯერჯერობით საერთო მრიცხველების დადგმის მექანიზმი ზუსტად გარკვეული არ არის. შესაძლოა, დაწესდეს ფიქსირებული გადასახადი და ერთ მრიცხველში რამდენიმე

გაგრძელება A3 გვერდზე

ამინდი

თბილისი	25
ქუთაისი	29
ბათუმი	28
სოხუმი	28
ფოთი	28
თელავი	23
ზუგდიდი	30
გორი	24

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	2.1650
ევრო	2.1325
გირვანქა სტერლინგი	3.3520
რუბლი	0.0685

მსოფლიო კინოს მარშრუტი: ვენეცია-დოვილი-მარაქეში

B1

სემ მენდესი და ტომ ჰენკსი

REUTERS

ძველმა კონტინენტმა ამერიკა ნოკდაუნში ჩააგდო

თორნიკე შარაშენიძე

მეტად სერიოზული დარტყმა იგემა ძველი კონტინენტისაგან სამყაროს ყველაზე ძლევამოსილმა ქვეყანამ. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციამ ევროგაერთიანებას ნება დართო, ჯარიმის სახით ოთხი მილიარდი დოლარი მოსთხოვოს ამერიკას. ამ სანქციის დაშვება, რომელიც, ცხადია, აშშ-ს არ გააღარიბებს, მაგრამ ევროპისათვის უდიდესი ფსიქოლოგიური მნიშვნელობა აქვს, გამოიწვია ვაშინგტონის მიერ თავისი კომპანიებისათვის საექსპორტო გადასახადის ჩამოკლებამ. ამის ხარჯზე საზღვარგარეთ გასული ამერიკული საქონელი არაბუნებრივად იაფი და, აქედან გამომდინარე, არაბუნებრივად კონკურენტუნარიანი იყო, რაც წლების განმავლობაში უზარმაზარ ზარალს აყენებდა სხვა ქვეყნების ეკონომიკას.

ამ შემცირებული გადასახადების თაობაზე ევროგაერთიანებამ შარშან იჩივლა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში და მოითხოვა, ამგვარი ქმედება უკანონო სუბსიდირებად შეფასებულიყო. უნდა აღინიშნოს, რომ ამერიკის ხელისუფლება კარგად აცნობიერებდა, რა შეიძლებოდა, მოყოლოდა მის ასეთ პოლიტიკას, მაგრამ კორპორაციათა მხრიდან გააფთრებული წინააღმდეგობის გამო, გადასახადი შემცირებული დარჩა, რაზედაც რეაგირებამ არ დააყოვნა.

ოთხი მილიარდი დოლარი, ევროპელთა შეფასებით, ის ზარალია, რომელიც ძველ კონტინენტს ამერიკელთა ქმედებების გამო მიადგა. ვაშინგტონი ამას არ ეთანხმებოდა – მისი შეფასებით, ზარალი ერთ მილიარდ დოლარზე მეტი არ შეიძლებოდა ყოფილიყო. ცხადია, სამი მილიარდი დოლარი ამერიკას არ გააღარიბებს, მაგრამ ვაჭრობა უფრო პრინციპის საკითხი იყო – აშშ-ს, რომელიც დამნაშავედ ცნეს, სურდა, აქ მაინც გაეტანა თავისი, მაგრამ ძველმა კონტინენტმა ამ საკითხშიც იმარჯვა.

ევროგაერთიანების კომისარი საგარეო საქმეებში, კრის პატენი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის გადაწყვეტილებას დაუფარავი კმაყოფილებით შეხვდა. "ჩვენ თავიდანვე არ გვეპარებოდა ეჭვი ჩვენი პოზიციის სისწორეში, - თქვა მან, - ჩვენი არგუმენტები შესაბამისობაში იყო საერთაშორისო ნორმებთან და სანქციებთან და ამიტომ შედეგი გასაკვირი არ არის."

გაგრძელება A3 გვერდზე

A2 ინფორმაცია A2 პოლიტიკა A3 სამართალი A3 ეკონომიკა A4 ქრონიკა

B2 სპორტი B3 რეკლამა B4 სხვადასხვა

თბილისი. გუშინ დილით დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში 4 ათასამდე აბონენტს გაზის მიწოდება შეუწყდა. როგორც სს "თბილგაზის" გენერალური დირექტორი ვახტანგ ცაავა აცხადებს, ბუნებრივი აირის მიწოდების შეწყვეტის მიზეზია 31 აგვისტოს ღამით გიორგი ჩუბინაშვილის ქუჩაზე, სასტუმრო "კოლხეთის" მიმდებარე ტერიტორიაზე მომხდარი ავარია. ქსელში გაზის გაჟონვის გამო ცეცხლი წაეკიდა მიწისქვეშა კომუნიკაციების ჭებს და უბედური შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით 4 ათასამდე აბონენტს გაზის მიწოდება შეუწყდა.

ცაავას განცხადებით, ავარიის ადგილზე ტექნიკის შეყვანა ვერ მოხერხდა, რადგანაც იქ გარე მოვაჭრეები არიან განთავსებულები. მისივე თქმით, სარემონტო სამუშაოები დღეს უნდა დაიწყოს, თუ რაიონის გამგეობა და პოლიცია გარე მოვაჭრეებთან დაკავშირებულ პრობლემას მოაგვარებენ. **(კავკას-პრესი)**

■ ■ ■

თბილისი. მარუხის უღელტეხილის ტერიტორიის განაღმვის საკითხი გადაწყდება კოდორის ხეობის ერთობლივი პატრულირების დროს, რომელიც გუშინ დაიწყო და მასში მონაწილეობას მიიღებენ გაერო-ს სამხედრო დამკვირვებლები და რუსეთის სამშვიდობო ძალები. ის 5 სექტემბრამდე გაგრძელდება.

როგორც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს "კოდორის მიმართულების" სარდლის მოადგილე გიორგი გვარმიანი აცხადებს, პატრულირებაში ქართული მხარეც მიიღებს მონაწილეობას. მან იმედი გამოთქვა, რომ ამჯერად მარუხის უღელტეხილის განაღმვის საკითხი გადაიჭრება. უღელტეხილი მას შემდეგ დაინაღმა, რაც ამ რაიონში გადმოსხეს აფხაზურ-რუსული დესანტი. ნავარაუდევი იყო, რომ საზღვრის 17 კმ-იან მონაკვეთს განაღმავდნენ ქართული და აფხაზური მხარეები გაერო-ს წარმომადგენელთა მეთვალყურეობით. თუმცა, ქართული მხარისათვის მიუღებელი აღმოჩნდა აფხაზური მხარის მოთხოვნა, რომ ის მარუხის უღელტეხილზე გადასულიყო ქართული სოფლების გავლით. "თუ აფხაზები დაჟინებით მოითხოვენ დაზვერვის მიზნით ქართულ სოფლებზე გავლას, არაა გამორიცხული, რომ განაღმვა ჩატარდეს მათი მონაწილეობის გარეშე", - განაცხადა გვარმიანმა. **(კავკას-პრესი)**

■ ■ ■

თბილისი. ჩეჩნეთის პროკურორის მოვალეობის შემსრულებლის ალექსანდრე ნიკიტინის ცნობით, დადგენილია იმ ბოევიკთა ვინაობა, რომლებიც 2002 წლის ივლისში რუსეთიდან საქართველოში გადმოვიდნენ. პროკურორის განცხადებით, საუბარი ეხება დოკუ უმაროვის დაჯგუფების წევრ ბოევიკებს.

უმაროვის დაჯგუფების ყველა წევრზე დოკუმენტები გაეგზავნა საქართველოს გენერალურ პროკურატურას. საქართველოს სამართალდამცავმა ორგანოებმა ამ დოკუმენტების საფუძველზე უნდა გადაწყვიტონ რუსეთისათვის დამნაშავეების გადაცემის საკითხი.

როგორც საქართველოს გენპროკურატურის საგარეო ურთიერთობათა სამმართველოს უფროსი პაატა მსხილაძე აცხადებს, ქართული მხარე უკვე შეუდგა რუსეთის მიერ გადმოცემული დოკუმენტების შესწავლას 3-4 აგვისტოს საქართველო-რუსეთის საზღვარზე დაკავებული 13 ჩეჩენი ბოევიკის ექსტრადიციის შესახებ და გადაწყვეტილებას ამ დღეებში მიიღებს. დაკავებულებს სამთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდეს და ამჟამად ისინი იზოლატორში იმყოფებიან.

სხვათა შორის, როგორც დაკავებულთა ადვოკატები აცხადებენ, თავად ჩეჩნები ირწმუნებიან, რომ აქამდე საქართველოში არასოდეს ყოფილან. ისინი წლების განმავლობაში იმალებოდნენ ჩეჩნეთის სამხრეთ ნაწილში და პანკისიდან ქერიგოს უღელტეხილზე არ გადასულან. **(კავკას-პრესი)**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს სპეცსამსახურებს გააჩნიათ მონაცემები, რომ პანკისის ხეობაში მყოფ რამდენიმე ათეულ არაბს პირდაპირი თუ ირიბი კონტაქტები ჰქონდა საერთაშორისო ტერორისტულ ორგანიზაციებთან, მათ შორის "ალ ქაიდასთან".

როგორც სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს პრესსამსახურის ხელმძღვანელი ნიკა ლალიაშვილი აცხადებს, "არსებობს უტყუარი მტკიცებულებები იმისა, რომ პანკისის ხეობაში არაბი ემისრების მოღვაწეობას ჩეჩნეთიდან უშუალოდ იორდანელი ხატაბი ხელმძღვანელობდა".

ნიკა ლალიაშვილის თქმით, არაბების მოღვაწეობა პანკისში ძირითადად ვაჰაბიზმის იდეის პროპაგანდაში გამოიხატებოდა.

"ამ მიზნით ხეობაში იგზავნებოდა დიდი რაოდენობით ფული, რითაც აშენდა სამი მეჩეთი, გაიხსნა საკვირაო სკოლები ბავშვებისა და უფროსებისათვის არაბული ენის შესასწავლად", აღნიშნა მან.

მისი ინფორმაციით, ამჟამად პანკისის ხეობაში არაბები უკვე აღარ არიან.

რაც შეეხება ხეობაში ორი დღის წინ დაკავებულ არაბს, მასთან დაკავშირებით უშიშროების სამინისტროში გამოძიება მიმდინარეობს, აღნიშნა ნიკა ლალიაშვილმა. **(პრაიმ-ნიუსი)**

■ ■ ■

თბილისი. მოსკოვში გამართულ შეხვედრაზე რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ ვალერი ლოშინინმა და სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ედუარდ კოკოითმა ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარებასთან დაკავშირებული სიტუაცია განიხილეს.

როგორც რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციის დეპარტამენტში აცხადებენ, მხარეებმა სამხრეთ ოსეთში ამჟამად არსებულ ვითარებაზე და კონფლიქტის მოგვარების პროცესის გაგრძელებაზე ისაუბრეს.

კოკოითი მომხრეა, რომ ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში დარჩეს რუსეთის სამშვიდობო კონტინგეტი, ვინაიდან, მისი აზრით, რუსი მშვიდობისმყოფელები რეგიონში სტაბილურობის "გარანტს" წარმოადგენენ. **(კავკას-პრესი)**

■ ■ ■

თბილისი. „პანკისის ხეობა, სადაც უკვე რამდენიმე დღეა წესრიგის დამყარების მიზნით სპეცოპერაცია მიმდინარეობს, მომავალი კვირიდან მთლიანად ჩაიკეტება ჟურნალისტებისა და სამოქალაქო პირებისათვის ანტიკრიმინალურ ღონისძიებათა აქტიური ფაზის დაწყებასთან დაკავშირებით, - აცხადებს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ოფიციალური წარმომადგენელი ნიკა ლალიაშვილი.

მისი თქმით, ხეობაში რჩებიან კრიმინალური ელემენტები და ტერორისტები, რომელთა წინააღმდეგ შესაბამისი ოპერატიული ზომები განხორციელდება.

ნიკა ლალიაშვილი არ გამორიცხავს, რომ სპეცოპერაციის აქტიური ფაზის მიმდინარეობისას გამორიცხული არ არის პანკისში მძევლობიდან გაათავისუფლონ ბრიტანელი ბანკირი პიტერ შოუ და განდგომილი ბერი მამა ბასილი, რომლებიც, სავარაუდოდ, ხეობის ერთ-ერთ დასახლებულ პუნქტში იმყოფებიან. **(პრაიმ-ნიუსი)**

■ ■ ■

ბაქო. აზერბაიჯანი დაინტერესებულია, რომ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობის პროექტში ჩართული იყოს ყველა კომპანია, რომლებიც მონაწილეობენ "აზერის", "ჩირაგისა" და "გიუნეშლის" საბადოების დამუშავებაში და ფლობენ გარკვეული მოცულობის ნავთობს. ამის შესახებ ჟურნალისტებს განუცხადა აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანიის პრეზიდენტმა ნატიკ ალიევმა.

მისი თქმით, აღნიშნულთან დაკავშირებით ახლახან გაიმართა მოლაპარაკებები კომპანია Exxon-თან. გარდა ამისა, როგორც ალიევმა აღნიშნა, ამ საკითხთან დაკავშირებით შემუშავებულია კონცეფცია პროექტში მიწისა და კარტოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის ჩართვით. ნავთობსადენის ტრასაზე გამოვლენილია დაახლოებით 3 ათასი მიწათმფლობელი, რომლებსაც მიწის ნაკვეთის ყიდვის და იჯარით გაცემის შემთხვევაში გაეცემათ კომპენსაცია. **(კავკას-პრესი)**

■ ■ ■

იოშკარ-ოლა. რუსეთის რესპუბლიკა მარი ელში აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის "ელჩი" გამოიძებნა. როგორც "მარიისკაია პრავდა" იუწყება, "ელჩი" გახდა რესპუბლიკაში ცნობილი მეწარმე ანდრეი ბარანიუკი, რომლის ოფიციალური თანამდებობაა - იოშკარ-ოლას საკოლმეურნეო ბაზრის დირექტორობა.

მარი ელში ბარანიუკის ინიციატივით აფხაზური ლიტერატურა გამოიცემა, მათ შორის, სამეცნიერო ლიტერატურაც, ასევე ახალი "ელჩი" აფხაზ სწავლულებს დაეხმარება დისერტაციების დაცვაში. რუსებს კი მიეცემათ საშუალება აფხაზეთის კურორტების საგზურების შეიძინონ. **(კავკას-პრესი)**

■ ■ ■

მოსკოვი. რუსეთის გენერალური შტაბის ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება, დააჩქაროს საქართველოს ტერიტორიიდან სამხედრო ბაზებისა და სამხედრო კონტინგენტის გაყვანის პროცესი, რაც გამოიწვევს ამიერკავკასიის ამ რესპუბლიკაში და მთლიანად კავკასიაში რუსეთის პოლიტიკური ზეგავლენის შესუსტებას. ამის შესახებ ჟურნალისტებს განუცხადა სახელმწიფო სათათბიროს უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ გენადი გუდკოვმა.

გენშტაბის ამგვარი ქცევის მოტივთან დაკავშირებით დეპუტატმა დაასახელა ამის ოთხი შესაძლო მიზეზი: ფინანსური სახსრების ეკონომიის კონიუნქტურული მოსაზრებები, კორუფცია, გენშტაბში დაზვერვის ცენტრალური სამმართველოს აგენტურის მუშაობა, ასევე "ბანალური სისულელე". გუდკოვის აზრით, ყველაზე უფრო თვალსაჩინო ახსნაა პირველი და მეორე მიზეზის კომბინაცია, თუმცა, არსებობის უფლება დანარჩენ ვერსიებსაც აქვთ.

"კავკასიაში ვთმობთ ჩვენს ინტერესებს, როგორც ადრე ეს გავაკეთეთ კამრანისა და ლურდესის ბაზების დახურვის დროს, სანაცვლოდ კი არაფერს ვიღებთ", - განაცხადა დეპუტატმა. მისი აზრით, ამ ფაქტზე აუცილებლად უნდა გაამახვილონ ყურადღება პრეზიდენტმა, მთავრობამ, თავდაცვის მინისტრმა, სახელმწიფო სათათბირომ, საგარეო საქმეთა სამინისტრომ, რომელთაც არ აქვთ სრული და სინამდვილის შესაფერისი ინფორმაცია გენშტაბის გადაწყვეტილების შესახებ. "ამ მიმართულებით რუსეთის პოლიტიკური ხაზი საკმაოდ მკაფიოდ არის ფორმულირებული, თუმცა, გენშტაბის ფუნქციონერები საკუთარ პოლიტიკას ახორციელებენ, რაც ძირეულად ეწინააღმდეგება რუსეთის ეროვნულ ინტერესებს," - თვლის გენადი გუდკოვი. **(კავკას-პრესი)**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს პრეზიდენტმა ხელი მოაწერა ბრძანებულებას ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებთან დაკავშირებით სამთავრობო კომისიის წევრთა დამტკიცების თაობაზე. კომისიას ხელმძღვანელობს საგარეო საქმეთა მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილი.

როგორც ცნობილი გახდა, კომისიის შემადგენლობაში შევიდნენ - თავდაცვის მინისტრის მოადგილე გელა ბეჟუაშვილი, ფინანსთა მინისტრის მოადგილე ვასილ გიგოლაშვილი, შს მინისტრის მოადგილე დავით თოდუა, იუსტიციის მინისტრის მოადგილე გიორგი წკრიალაშვილი და სხვ. კომისიაში ასევე მიწვეულია პარლამენტის უშიშროებისა და თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი ბათიაშვილი. აღნიშნულმა კომისიამ 2002 წლის 1 ნოემბრამდე უნდა შეიმუშავოს და ეროვნული უშიშროების საბჭოს წარუდგინოს საქართველოს ნატო-სთან თანამშრომლობის სახელმწიფო პროგრამა.

როგორც ირაკლი მენაღარიშვილი აცხადებს, სახელმწიფოს უნდა გააჩნდეს დოქტრინა, რომელიც განსაზღვრავს მომდევნო რამდენიმე წლის საგარეო პოლიტიკურ პრიორიტეტებს. "საქართველო ისწრაფვის თავი დაიცვას აგრესიისგან და თვლის, რომ ნატო-სთან ინტეგრაცია ამისათვის საუკეთესო საშუალებაა", - განაცხადა მინისტრმა. **(კავკას-პრესი)**

პუტინი შევარდნაძის წერილებს არ პასუხობს

მოსკოვში ამბავს ჟურნალისტებიც ჩაიტანენ

პირველი გვერდიდან

კავშირში საქართველოს დადანაშაულების ახალი სერია რუსულმა მასმედიამ და ოფიციოზმა ისევ წამოიწყოს.

გუშინდელ შეხვედრაზე შევარდნაძეს შეკითხვებს მხოლოდ უცხოელი ჟურნალისტები უსვამდენ. ეს იყო შემაჯამებელი ბრიფინგი მას შემდეგ, რაც "ვაშინგტონ პოსტის," "თაიმსის", ჟურნალ "თაიმის", გერმანული ტელეკომპანია "ცე-დე-ეფისა" და დასავლური პრესის სხვა წარმომადგენლებმა, ისევე როგორც რუსმა ჟურნალისტებმა, უცხოელ დიპლომატებთან ერთად, პანკისის ხეობა მოინახულეს.

შესაბამისად, შევარდნაძესაც კომენტარის გაკეთება, ძირითადად, პანკისის ხეობაში მიმდინარე სპეცოპერაციაზე და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებზე უხდებოდა.

პრეზიდენტმა გუშინაც დაადასტურა, რომ პანკისის დაბომბვის შემდეგ პუტინთან ტელეფონით არ უსაუბრია.

"ისეთი ცუდი ურთიერთობა გაქვთ, რომ სატელეფონო საუბარიც ვერ მოახერხეთ?" – უცხოელი ჟურნალისტის ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემისას შევარდნაძეს არ დაუკონკრეტებია, რამდენად ცუდი ან კარგი ურთიერთობა აქვს თავის რუს კოლეგასთან. **"მე მას ორი წერილი გავუგზავნე და ვფიქრობ, რომ წერილობითი მიმართვა საკმაოდ სოლიდურია, მასში დეტალურად არის ჩამოყალიბებული და კარგადაა დასაბუთებული საქართველოს პოზიცია. იმედი მაქვს, რომ პრეზიდენტ პუტინისაგან მალე საპასუხო წერილს მივიღებ ან ჩვენს შორის სატელეფონო საუბარი შედგება. მაგრამ ის, რომ ჩვენ აქამდე ტელეფონით არ გვისაუბრია, მე ტრაგედიად არ მიმაჩნია,"** – განაცხადა შევარდნაძემ.

„ის, რომ ჩვენ აქამდე ტელეფონით არ გვისაუბრია, მე ტრაგედიად არ მიმაჩნია" ბესო გულაფვილის ფოტო

პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ დაასტურა ისიც, რომ სჯერა, პუტინს პანკისის დაბომბვასთან კავშირი არ ჰქონია და, საერთოდ, რუსეთის პრეზიდენტი ცდილობს, საერთო ენა გამონახოს საქართველოს ხელისუფლებასთან და თავი დააღწიოს იმ ცუდ მემკვიდრეობას, რომელიც მას საქართველოსთან ურთიერთობაში ელცინისდროინდელი რუსეთიდან ერგო.

პანკისში "ალ ქაიდას" წევრების შესაძლო ყოფნა იყო ის საკითხი, რომლითაც, ბუნებრივია, ძალიან დაინტერესდნენ უცხოელი ჟურნალისტები. თუმცა, შევარდნაძეს გუშინ მათი ცნობისმოყვარეობა არ დაუკმაყოფილებია.

"მე არ შემიძლია, დავადასტურო ან უარვყო, არიან თუ არა "ალ ქაიდასთან" დაკავშირებული ტერორისტები პანკისში. მე ვიცი, რომ ხეობაში არიან კრიმინალები, მათ შორის არაბები, რომელთა სრული ნეიტრალიზაციისათვის ორი-სამი თვეა საჭირო. თუმცა, ჩეჩნების მთავარმა შენაერთებმა, რომლებიც რუსეთმა საქართველოში შემოდევნა, პანკისი დატოვეს. ჩვენ არა გვაქვს ინფორმაცია, ახლა სად იმყოფებიან ისინი," - აცხადებს პრეზიდენტი და არ აკონკრეტებს, ჩეჩნურმა შენაერთებმა მხოლოდ პანკისის ხეობა დატოვეს თუ მთლიანად საქართველოს ტერიტორია.

მას კონკრეტული ინფორმაცია არც იმ არაბზე მოუცია, რომელიც ხეობაში უკვე აიყვანეს, შესაბამისად, ვერ დააკმაყოფილა უცხოელი ჟურნალისტების ვერც ის ინტერესი, არიან თუ არა ისინი დაკავშირებული "ალ ქაიდასთან."

თავად უცხოელი ჟურნალისტები, რომლებმაც ვერც ერთი წყაროსაგან ვერ მიიღეს კონკრეტული ინფორმაცია, იმყოფებიან თუ არა პანკისში "ალ ქაიდას" დაჯგუფების წევრები, პანკისის შთაბეჭდილებებზე საუბრისას ამბობენ, რომ, გაძლიერებული დაცვის გამო, მუშაობისთვის პირობები არ ჰქონდათ. თუმცა, ნანახიდან გამომდინარე აღნიშნავენ, რომ ხეობაში სიმშვიდეა.

ჩეჩნეთის კონფლიქტში უცხოელების ჩარევა სულ უფრო რეალური ხდება

პირველი გვერდიდან

რასაკვირველია, ვაშინგტონი აღფრთოვანებული არ დარჩებოდა მოსკოვის ამ ნაბიჯებით და რეაქციამაც არ დააყოვნა. რუსეთის ხელმძღვანელობას ამერიკის თავდაცვის მინისტრმა შეახსენა, რომ თუ მოსკოვი ტერორისტებთან "მეგობრობას" არ შეწყვეტდა, მის ისედაც შერყეულ ეკონომიკას უცხოური ინვესტიციები ხელიდან გამოეცლებოდა. საქართველოს დაბომბვას კი თეთრი სახლი "ცივი ომის" სტილში გაკეთებული განცხადებით გამოეხმაურა და რუსეთს თავშეკავებისაკენ მოუწოდა.

აგვისტოს მოვლენების ცხელ კვალზე შეფასება ძალიან ძნელია, მაგრამ ერთი ფრთხილი დასკვნის გაკეთება ახლავე შეიძლება – როგორც ჩანს, ბოლო წლის განმავლობაში საგარეო პოლიტიკური წარმატებებით გათამამებული პრეზიდენტი პუტინი მიღწეულით არ დაკმაყოფილდა, ამერიკასთან პარტნიორობა არ იკმარა და "ტერორიზმთან ომის" მანდატით თავისი გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური ინტერესების შესრულება მოიწადინა. ეს ინტერესები კი სულაც არ ემთხვევა ამერიკის ინტერესებს და მეტიც, ტერორიზმთან ბრძოლასთან საერთო არაფერი აქვს. ისიც უნდა ითქვას, რომ ამერიკის ანტიტერორისტული კოალიციის არც ერთ სხვა პარტნიორს ამგვარი მადა არ გამოუჩენია და არც "გადაუმლაშებია". რუსეთის ამგვარი სულსწრაფობისა და წინდაუხედაობის მიზეზი, შეიძლება, დასავლეთთან თანამშრომლობის გამოცდილების ნაკლებობა იყოს – რუსეთი მსოფლიო პოლიტიკაში უფრო დაპირისპირებას და მეტოქეობასაა შეჩვეული, ვიდრე თანამშრომლობას.

რუსეთის პოლიტიკისადმი დასავლეთის უარყოფითმა დამოკიდებულებამ ყველაზე სერიოზულად ჩეჩნეთთან დაკავშირებით იჩინა თავი. როგორც კი რუსეთმა ვაშინგტონს "პოლიტიკური ვაჭრობა" დაუწყო, მაშინვე დააჭირეს ფეხი "ჩეჩნურ კოჟრზე".

როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, ჩეჩნეთის პრობლემაზე ყურადღების გამახვილება, ან რუსეთის გაცხოველებული მადის ალაგმვას, ან კიდევ კავკასიაში რუსეთის პოზიციებზე სერიოზულ შეტევას ისახავდა მიზნად. ანდა ორივეს ერთად. ორივე შემთხვევაში შედეგი, ალბათ, ერთი და იგივე იქნება – რუსეთს თავდასხმიდან თავდაცვაზე მოუწევს გადასვლა. კრემლის ახლანდელი რთული პოზიცია ერთი ფრაზით გამოხატა ბრიტანულმა "ფაინენშელ ტაიმსმა:" **"თუ რუსეთი შესაძლებლად თვლის თავისი ჯარების შეყვანას საქართველოში, მაშინ ასევე სამართლიანი იქნებოდა ჩეჩნეთში არარუსული ძალების შეყვანაც".** ამ ფრაზამ რუსულ პრესაში ისტერია გამოიწვია. რუსეთის საინფორმაციო საშუალებები რუსეთში ამერიკის სპეცდანიშნულების ჯარების შეჭრაზე ალაპარაკდნენ.

"ფაინენშელ ტაიმსმა" კიდევ ერთ ბოლოდროინდელ პუბლიკაციაში აღნიშნა, რომ პრეზიდენტ პუტინს რუსეთის დასავლეთთან გასაერთიანებლად ჩეჩნეთის პრობლემის მარტივ დილემამდე დაყვანა მოუწევს – ან ჩეჩნეთის ომი ჩაშლის რუსეთის დაახლოებას დასავლეთთან, ან რუსეთის დასავლეთთან დაახლოება მოაგვარებს ჩეჩნეთის პრობლემას. მეორე სცენარის შემთხვევაში რუსეთს დასავლეთის დახმარების მიღება მოუხდება.

ეს დახმარება, შეიძლება, ჩეჩნეთის ტერიტორიაზე საერთაშორისო სამშვიდობო ძალების შეყვანითაც დასრულდეს. ერთი შეხედვით, ამგვარი სცენარი წარმოუდგენელი ჩანს, მაგრამ, მეორეს მხრივ, დღეს ცენტრალურ აზიაში ამერიკელი სამხედროები დგანან, რასაც ზუსტად ერთი წლის წინ, 2001 წლის 1 სექტემბერს ვერავინ წარმოიდგენდა.

ჩეჩენი ვაჰაბიტები

საერთაშორისო ჩარევის მომზადების პირველი ნიშნები უკვე სამი მიმართულებით გამოჩნდა – ჩეჩნეთის საკითხის თაობაზე არაოფიციალური მოლაპარაკებებით და გეგმების შემუშავებით; საგაზეთო პუბლიკაციებით; დასავლელი პოლიტიკოსების ოფიციალური შეხვედრებით.

ამათგან ყველაზე ნიშანდობლივი ლიხტენშტეინის არაოფიციალური მოლაპარაკებებია, რომლებიც 16-19 აგვისტოს ლიხტენშტეინის მთიან სოფელში გაიმართა. ერთმანეთს შეხვდნენ რუსი, ჩეჩენი და უცხოელი პოლიტიკოსები, რომლებმაც ჩეჩნეთის პრობლემის გადაწყვეტის საერთო გეგმის შემუშავება სცადეს და თითქმის მიაღწიეს კიდეც მიზანს. შეხვედრაში მონაწილეობდნენ რუსეთის პარლამენტის ორი ყოფილი სპიკერი – ივან რიბკინი (იგი ერთ დროს რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივანიც იყო) და რუსლან ხასბულატოვი, ჩეჩნეთის პრეზიდენტის - მასხადოვის წარმომადგენელი ახმად ზაკაევი და რუსეთის სათათბიროს ორი დეპუტატი – ცნობილი ჟურნალისტი შჩეკოჩიხინი და ჩეჩნური წარმოშობის ასლამბეკ ასლახანოვი.

თავდაპირველი ცნობებით, ლიხტენშტეინის შეხვედრა ბორის ბერეზოვსკიმ მოაწყო. მაგრამ მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ ბერეზოვსკის წარმომადგენელი ალექსანდრ გოლდფარბი მონაწილეებმა შეხვედრიდან გააძევეს. ეს მნიშვნელოვანი დეტალია – როგორც ჩანს, ლიხტენშტეინის შეხვედრის მონაწილეები მოსკოვის ყურადღების მიპყრობას აპირებდნენ, რასაც აუცილებლად შეუშლიდა ხელს კრემლის მოწინააღმდეგე ბერეზოვსკის საქმეში ჩართვა.

ლიხტენშტეინის შეხვედრაზე წარმოდგენილი იყო ჩეჩნეთში მშვიდობის მიღწევის ორი პროექტი – ხასბულატოვის და ბჟეზინსკის ავტორობით. პირველ მათგანზე გუშინდელ "24 საათში" დაბეჭდილი ხასბულატოვის ინტერვიუც ქმნის წარმოდგენას – ჩეჩნეთი "განსაკუთრებულ სტატუსს" იღებს, ეუთო-სა და ევროპის საბჭოს გარანტიებით, დამოუკიდებლად შეძლებს შიდა და საგარეო პოლიტიკის წარმართვას, მაგრამ რუსეთის პოლიტიკური გავლენისა და რუბლის ზონაში დარჩება. ხასბულატოვი აცხადებს, რომ მისი გეგმა პრეზიდენტ მასხადოვთანაა შეთანხმებული, რასაც დამოუკიდებელი წყაროებიც ადასტურებენ.

მეორე გეგმა ამერიკაში დაარსებულმა "ჩეჩნეთში მშვიდობის ამერიკულმა კომიტეტმა" წარმოადგინა, რომლის თანათავმჯდომარეებიც არიან ცნობილი ამერიკელი პოლიტიკოსები - ზბიგნევ ბჟეზინსკი და ალექსანდერ ჰეიგი. მათი სამშვიდობო გეგმა, რომელიც ივნისში "ვაშინგტონ პოსტმა" დაბეჭდა, ჩეჩნეთისათვის ხასბულატოვის გეგმაზე უფრო ნაკლებ სუვერენიტეტს, თათრეთის მაგვარი სტატუსის მინიჭებას და ჩეჩნეთის სამხრეთ საზღვრის რუსი მესაზღვრეების მიერ დაცვას ითვალისწინებს.

საბოლოოდ, შეიმუშავეს "ლიხტენშტეინის გეგმა", რომელიც ორივე გეგმის კომპრომისულ ვარიანტს წარმოადგენს. მასში არაფერია ნათქვამი ჩეჩნეთის სამხრეთ საზღვრების რუსების მიერ დაცვაზე. ყველაზე დიდი სჯა-ბაასი ჩეჩნეთში საერთაშორისო სამშვიდობო ძალების შეყვანამ გამოიწვია, მაგრამ რაიმე შედეგი ამას არ მოყოლია. რუსეთის ოთხი წარმომადგენლიდან მხოლოდ ერთმა დაუშვა ამგვარი შესაძლებლობა.

ლიხტენშტეინის შეხვედრის შედეგებზე კრემლის რეაქციაც სიმპტომატურია – რუსეთის მთავრობა საერთოდ არ გამოხმაურებია თავად შეხვედრის ფაქტსაც კი. ადრე კრემლი გადაჭრით ეწინააღმდეგებოდა ჩეჩნური წინააღმდეგობის მოძრაობასთან მოლაპარაკების იდეას, ახლა კი ლოდინის ტაქტიკას ირჩევს. ეს, შეიძლება, პროგრესის ნიშანიც იყოს.

ლიხტენშტეინის შეხვედრის ფაქტი ორი მნიშვნელოვანი დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა – პირველი, ჩეჩნეთის კონფლიქტში ჩაბმული მხარეები სულ უფრო მეტად აცნობიერებენ მოლაპარაკებების აუცილებლობას; მეორე, ჩეჩნეთის კონფლიქტში უცხოელების ჩარევა უტოპია ნამდვილად აღარ არის. ამ უკანასკნელ მოსაზრებას კიდევ უფრო ამყარებს ის, რომ ჩეჩნეთის თაობაზე უკვე არა მარტო საინფორმაციო საშუალებები და არასამთავრობო ორგანიზაციები, არამედ უცხოელი ოფიციალური პირებიც მსჯელობენ – ხვალ ჩეჩნეთის საკითხის განსახილველად გაერო-სა და ევროკავშირის მაღალი დონის დელეგაციების შეხვედრაა დანიშნული. ბრიტანული "გარდიანის" ცნობით, ხვალინდელ შეხვედრაზე იმსჯელებენ, თუ როგორ შეიძლება დაიყოლიონ რუსეთი ჩეჩნეთის პრობლემის არა სამხედრო, არამედ პოლიტიკურ მოგვარებაზე. არ არის გამორიცხული, რომ ხვალინდელ შეხვედრას ჩეჩნეთის კონფლიქტში საერთაშორისო ჩარევის წინადადებებიც მოჰყვეს. მისმა ერთ-ერთმა მონაწილემ უკვე განაცხადა, რომ **"თუ რუსეთს დიდი რვიანის წევრობა და გაზრდილი საერთაშორისო როლის შესრულება სურს, მან ჩეჩნებისადმი წესიერი მოპყრობით უნდა დაიწყოს".**

რუსეთის ხელმძღვანელობა სერიოზული დილემის წინაშე დგას – ერთის მხრივ, ჩეჩნეთის ომი რუსეთის მოსახლეობაში სულ უფრო არაპოპულარული ხდება. 2003-2004 წლების საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების წინ პუტინს ჩეჩნეთის პრობლემის გადაწყვეტა ჰაერივით ესაჭიროება. მეორეს მხრივ, მარტო რუსეთის ძალებით ჩეჩნეთის პრობლემის გადაწყვეტა სულ უფრო არარეალური ჩანს. კრემლმა უნდა გააცნობიეროს ის დიდი პოლიტიკური დანაკარგი, რომელსაც ჩეჩნეთის ომი რუსეთის დასავლეთთან ურთიერთობებს აყენებს. ამიტომაც, დღეს შექმნილ გამოუვალ პირობებში, საერთაშორისო სამშვიდობო ძალების შეყვანის იდეამ, შეიძლება, მხარდაჭერა ჰპოვოს როგორც რუსეთის პრეზიდენტის, ისე თავად ჩეჩენი აჯანყებულების მხრიდან. ყველაზე დიდი პრობლემა, როგორც ყოველთვის, რუსი სამხედროების დაყოლიება იქნება.

გამომცემელი: რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი) , ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი), დამატებები: დედაქალაქი-დავით მაღრაძე, ლიტერატურა-მალხაზ ხარბედია, სამყარო-ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი-ნიკოლოზ რურუა, სტილი-ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა-ზაზა ფაჩუაშვილი. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი), დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე, კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, ირაკლი ბილაშვილი, დავით გეგეჭკორი, დიტო შალუტაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია. სტილი: ნანა ჯოხარიძე, თამარ კვაჭანტირაძე, მზია შომახია.ჯუანშერ ტიკარაძე. რეკლამა-ზურაბ ჯაოშვილი.

ღონღაძის მკვლელობის გამო კიევის პროკურორი დააპატიმრეს

პირველი გვერდიდან

დეტალური გამოძიების ჩატარებას გიორგი ღონღაძის უგზო-უკვლოდ დაკარგვის თაობაზე.

ჟურნალისტის ცოლი ლესია ღონღაძე, ორ ბავშვთან ერთად, აშშ-ში გაემგზავრა, რათა ბავშვების სიცოცხლე მოსალოდნელი საფრთხისგან დაეცვა. იგი ამერიკის ხელისუფლებამ პოლიტიკური დევნილის სტატუსით შეიფარა. პოლიტიკური თავშესაფარი მიიღო უკრაინის ყოფილმა მაიორმა, უკრაინის პრეზიდენტის დაცვის წევრმა ნიკოლაი მალნიჩენკომაც. არსებული ინფორმაციით, მაიორი ფლობს ფირს, რომელზეც ჩაწერილია ლეონიდ კუჩმას საუბარი მაღალი თანამდებობის პირებთან, გიორგი ღონღაძისთვის "ჭკუის სწავლების" შესახებ. უკრაინის გენერალურმა პროკურატურამ რამდენიმე დღის წინ ხსენებული ფირის დამატებითი ფონოსკოპიური ექსპერტიზა დანიშნა. ექსპერტიზა ჩატარდება დასავლეთის იმ ქვეყანაში, რომელიც ფლობს თანამედროვე ელექტრონულ ტექნოლოგიებს და არ მიუღია მონაწილეობა ღონღაძის საქმის გამოძიებაში. ამ საქმესთან დაკავშირებით სხვადასხვა სახის ექსპერტიზები უკვე ჩატარდა გერმანიაში, ამერიკაში, რუსეთში, უკრაინასა და ევროკავშირის სხვა ქვეყნებში.

უკრაინის გენერალური პროკურორის განცხადებით, გიორგი ღონღაძის საქმის გამოძიებას პროკურატურის ახალი ჯგუფი გააგრძელებს.

გიორგი ღონღაძე

პიტერ შოუ პანკისში ჰყავთ

პირველი გვერდიდან

თავის დროზე კანონდამცველებს შოუს გამტაცებელთა პოვნის ერთადერთ მყარ შესაძლებლობად თითის ის ანაბეჭდები მიაჩნდათ, რომლებიც პროკურატურამ გამტაცებელთა ავტომანქანაში აიღო. გამოძიება ამჟამად იმ კრიმინალთა თითის ანაბეჭდებს ამოწმებს, რომელთაც ადრე მომხდარ გატაცებებთან ჰქონდათ კავშირი. ჩვენი ინფორმაციით, აღმოჩენილი ხუთი თითის ანაბეჭდიდან ერთ-ერთის იდენტიფიკაცია უკვე მოხდა, თუმცა, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, საეჭვო პიროვნების ვინაობას ჯერჯერობით არ ასახელებენ.

გუშინვე უშიშროების მინისტრმა ვალერი ხაბურძანიამ ოფიციალურად განაცხადა, რომ ბრიტანელი ბიზნესმენის გატაცებაში ორი დანაშაულებრივი ჯგუფი მონაწილეობდა. პირველმა ჯგუფმა, რომლის მიზანიც საქართველოს საერთაშორისო იმიჯის დისკრედიტაცია იყო, პიტერ შოუს გატაცება შეუკვეთა. მეორეს კი გატაცებულის ხარჯზე გამდიდრების იმედი ჰქონდა. ხაბურძანია არც იმას გამორიცხავს, რომ პიტერ შოუს გატაცებაში უცხოელი მოქალაქეებიც მონაწილეობდნენ.

სხვათა შორის, თავის დროზე გამოძიება, ინგლისელი კოლეგების დახმარებით, დიდ ბრიტანეთში პიტერ შოუს პირადი ანგარიშების გაყინვასაც ცდილობდა, რადგან "აგრობიზნესბანკის" თანადირექტორს საქართველოში დაგროვებული თანხები სწორედ საკუთარ ქვეყანაში აქვს გადაგზავნილი, მაგრამ ორივე ქვეყნის სამართალდამცველებისთვის ბრიტანეთში არსებული მკაცრი ბიუროკრატიული მექანიზმის დაძლევა შეუძლებელი აღმოჩნდა. ქართული მხარისთვის დღემდე არ არის ცნობილი, მოხდა თუ არა ბანკირის ანგარიშიდან თანხის გატანა.

მოკლედ, ასე გამოიყურება პიტერ შოუს საქმის გამოძიება და არსებული ოპერატიული ინფორმაცია.

რაც შეეხება სხვა გატაცებულთა ადგილსამყოფელს, ამაზე შინაგან საქმეთა მინისტრი არ საუბრობს. თუმცა, რამდენიმე დღის წინ კობა ნარჩემაშვილმა ისიც განაცხადა, რომ პანკისის ხეობაში მეორე მძევალიც იმყოფება - ბერი ბასილ მაჩიტაძე.

მძევლებს გავათავისუფლებთ, გვპირდებიან მინისტრები

თავს დაესხნენ ბრაზილიაში უკრაინის საელჩოს

კიევის საგარეო საქმეთა სამინისტრო ბრაზილიის ხელისუფლებისგან კატეგორიულად ითხოვს ბრაზილიაში უკრაინის საელჩოზე განხორციელებული შეიარაღებული თავდასხმის გამოძიებასა და ინფორმაციის დროულ მიწოდებას. თავდასხმა უკრაინის საელჩოზე 29 აგვისტოს განხორციელდა. შეიარაღებული ჯგუფი საელჩოში შევარდა და იარაღის მუქარით მოითხოვა უკრაინის მისიის სალაროს გახსნა.

საელჩოს თანამშრომლებმა თავდამსხმელებს სერიოზული წინააღმდეგობა გაუწიეს, სალაროსთან მისვლის საშუალება არ მისცეს მათ და მოახერხეს პოლიციის გამოძახება, რომლის საელჩოში მისვლის დროსაც ყაჩაღები უკვე თავდასხმის ადგილზე აღარ იყვნენ.

ბრაზილიის საგარეო საქმეთა მინისტრმა უკრაინის საელჩოს დაცვის გაძლიერების ბრძანება გასცა.

ანტიკრიმინალური ოპერაციისას პანკისელი ქისტი კრიმინალი დააკავეს

ანტიკრიმინალური ოპერაციის მსვლელობისას გუშინ, გვიან ღამით, სოფელ დუისში ქისტი დავით მაჩალიკაშვილი დააკავეს. როგორც სამართალდამცველები ამბობენ, დაკავებული სერიოზული კრიმინალი და ძებნილი იყო. რამდენიმეწლიანი ძებნის შემდეგ იგი პანკისის ხეობაში თავმოყრილ სამართალდამცველებს ვეღარ გადაურჩა.

1995 წელს ჩადენილ დანაშაულამდე, დავით მაჩალიკაშვილი არაერთგზის ჩადენილი ყაჩაღობებისთვის იძებნებოდა. ბოლოს კი მან, რამდენიმე თანამზრახველთან – ვეფხია მარგოშვილთან, ექა გიორგაშვილთან, ელდარ მარგოშვილთან, ლუხუმ მახვაიძესთან და გიორგი აზიკურთან - ერთად, ზემო ალვანის საძოვრებიდან 1685 სული მოპარული ცხვარი ჩეჩნეთში გადაიყვანა გასაყიდად. ცხვრის უზარმაზარი ფარის გამტაცებლებმა საინტერესო "სპექტაკლი" დადგეს. დანაშაულის კვალის დასაფარად მათ მოაწყვეს ინსცენირება: ყაჩაღობის ერთ-ერთი თანამონაწილე - გიორგი აზიკური გაიტაცეს გროზნოში, ვითომ იგი ჩეჩნებს ჰყავდათ მძევლად, დანარჩენები კი ვითომ მის საძებნელად წავიდნენ გროზნოში. მოპარულ ცხვრის დიდ ფარასთან ერთად, ყაჩაღები ჩეჩნეთში ორი კვირის განმავლობაში დარჩნენ. ცხვარი გაყიდეს, აზიკური ჩეჩნებს "წაართვეს" და ყველანი უკან დაბრუნდნენ. მათ სამართალდამცველები მას შემდეგ დაეძებენ. თუმცა, ჯერჯერობით, მხოლოდ დავით მაჩალიკაშვილის დაკავება შეძლეს. კანონდამცველები დარწმუნებულები არიან, რომ, ვეფხია მარგოშვილისა და გიორგაშვილის გარდა, რომლებიც გარდაცვლილები არიან, ცოცხლად დარჩენილი თანამზრახველებიც პანკისის ტერიტორიაზე იმყოფებიან და მათ კვალსაც მალე მიაგნებენ.

სამართალდამცველთა ინფორმაციით, მაჩალიკაშვილის მეგობარი ძებნილებიც, მის მსგავსად, სხვადასხვა მძიმე დანაშაულში იმხილებიან. გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, მათ მიერ ჩადენილი კონკრეტული დანაშაულებების გამჟღავნებისაგან კანონდამცველები თავს იკავებენ.

რუსეთის პოლიციამ დააკავა ქართველი კონტრაბანდისტი ქალი

რუსეთის პოლიციამ ერთ-ერთ ავტოსაგზაო საგუშაგოზე დააკავა ქართველი ქალი, რომელსაც საკუთარი ავტომობილის საბარგულში დიდი რაოდენობით კონტრაბანდული ტვირთი აღმოუჩინეს. რუს კანონდამცველთა განცხადებით, ქართველი ქალბატონის მანქანიდან ამოღებულია დიდი რაოდენობით სხვადასხვა დანიშნულების კონტრაბანდული მედიკამენტები. კონტრაბანდის მფლობელი ამჟამად დაკავებულია.

ეკონომიკა

ლოტკინის გორაზე და ელიას მთაზე საერთო მრიცხველებს დადგამენ

პირველი გვერდიდან

აბონენტი გაერთიანდეს. "ეი-ი-ეს თელასი" გამოიყენებს ძველ მრიცხველებს, რომლებიც კომპანიამ გამრიცხველიანებულ უბნებში მოხსნა და შემდეგ შეაკეთა. თუმცა, ვიდრე "ეი-ი-ეს თელასი" საერთო მრიცხველების დადგმას დაიწყებდეს, მანამდე სემეკის ნებართვაა საჭირო.

სემეკის თავმჯდომარე ელიზბარ ერისთავი აცხადებს, რომ, მოსახლეობის თანხმობის გარეშე, იგი "ეი-ი-ეს თელასს" საერთო მრიცხველების დადგმის ნებართავს არ მისცემს. თუმცა, ერისთავი აქვე მიუთითებს, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი აღნიშნულ ინიციატივას დადებითად ეკიდება. მისი ინფორმაციით, იგნასიო ირიბარენი, რომელიც ვენესუელაში მუშაობდა, ცდილობს, თბილისში კარაკასის გამოცდილება დანერგოს. როგორც ირკვევა, კარაკასშიც ბევრია ისეთი უბანი, სადაც მრიცხველები არ დგას და მოსახლეობა ელექტროენერგიის გადასახადს არ იხდის. თუმცა, **"ირიბარენი გაკვირვებული იყო, როცა თბილისის მოსახლეობას შეხვდა და საერთო მრიცხველების დადგმაზე ესაუბრა. მან თქვა, რომ კარაკასის მოსახლეობის დაყოლიება მისთვის გაცილებით რთული იყო, ვიდრე ლოტკინელების,"** – აღნიშნა ელიზბარ ერისთავმა.

ასე რომ, თბილისი, რომელიც რაღაცით ჰგავს კიდეც და თან არ ჰგავს კარაკასს, მალე მთლიანად გამრიცხველიანდება. უკვე ცნობილია, რა წყაროებზე დაყრდნობით მოხდება ამ პროცესის დასრულება. "ეი-ი-ესი" მალე მიიღებს აშშ-ს კონგრესის მიერ გამოყოფილი თანხის – ცხრა მილიონი დოლარის ნაწილს, რომელსაც სწორედ მრიცხველების დადგმას მოახმარს.

მერობა მილიონების სანაცვლოდ

ნიუ-იორკის მერი მაიკლ ბლუმბერგი ვალდებულია, ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, 90 დღის მანძილზე გაყიდოს კუთვნილი 45 მილიონი დოლარის ღირებულების აქციები. ეს გადაწყვეტილება, "როიტერის" ცნობით, ეთიკის საკითხებში საქალაქო კომისიამ 29 აგვისტოს მიიღო. მაიკლ ბლუმბერგის ქონება ოთხი მილიარდი დოლარია, რაც ზუსტად ერთი მილიარდით ნაკლებია, ვიდრე ნიუ-იორკის ბიუჯეტის დეფიციტი.

მას შემდეგ, რაც საინფორმაციო სააგენტო Bloomberg L.P.-ს მთავარი აქციონერი არჩეულ იქნა ნიუ-იორკის მერად, კომისიამ დაადგინა, რომ ბლუმბერგს უარი უნდა ეთქვა საქალაქო საკაბელო ტელევიზიასთან დაკავშირებულ ყველა გარიგებაში მონაწილეობაზე. გარდა ამისა, საქალაქო ხელისუფლების მონაწილეობით გამართულ საქმიან მოლაპარაკებებში მონაწილეობისგან თავი უნდა შეეკავებინა საინვესტიციო კომპანია Merrill Lynch-ს, რომელიც Bloomberg L.P.-ში აქციების 20 პროცენტს ფლობს.

ძველმა კონტინენტმა ამერიკა ნოკდაუნში ჩააგდო

პირველი გვერდიდან

თუმცა, ძველი კონტინენტი არ აპირებს, ისარგებლოს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მიერ მინიჭებული უფლებით და ოთხ მილიარდ დოლარს არ მოითხოვს. საამისო არგუმენტები საკმარისზე მეტია: დავიწყოთ იქიდან, რომ ეს თანხა ისევე არ გაამდიდრებს ევროგაერთიანებას, როგორც არ გააღარიბებს ამერიკას. მაგრამ ამას რომ თავი დავანებოთ, ძველი კონტინენტი დღეს-დღეობით აშშ-ზე საგრძნობლად სუსტია და მასთან სანქციების ენით არ უნდა ისაუბროს. ამგვარი რამ ვაშინგტონს უთუოდ გააღიზიანებს და საპასუხო რეაქციას გამოიწვევს. პატენი იმედოვნებს, რომ ყველაფერი ზედმეტი გართულებების გარეშე მოგვარდება და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის გადაწყვეტილება საკმარისი აღმოჩნდება ვაშინგტონისათვის, რათა მან ხელი აიღოს ექსპორტის უკანონო სუბსიდირებაზე. ასეთივე აზრისაა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის გენერალური დირექტორი მაიკ მური. "უთანხმოება საქმიანი და მეგობრული მოლაპარაკებით უნდა მოგვარდეს," – აცხადებს იგი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თავისი არსებობის მანძილზე მურის ორგანიზაციას (ახლანდელი სახით იგი 1995 წელს შეიქმნა) ამგვარი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება არ მიუღია.

გადაწყვეტილება მით უფრო მნიშვნელოვანი იყო იმ თვალსაზრისით, რომ უპრეცედენტო დარტყმა მიიღო ამერიკამ. ყველასათვის აშკარა გახდა, რომ თანამედროვე სამყაროში თავის ნებაზე ვერავინ იმოქმედებს. აშშ, უკვე ვინ მოთვლის, რამდენი ხანია, იყენებს თავის პოლიტიკურ თუ სამხედრო ძლიერებას, რათა დათრგუნოს თავისი პარტნიორები პოლიტიკურ და სამხედრო სფეროში, მაგრამ მეტოქეები ეკონომიკურ სფეროში – ევროპა და იაპონია - ადვილად არ ნებდებიან. რა არ მოიცვა ეკონომიკურმა ომმა, ბანანებით დაწყებული და ფოლადით დამთავრებული. თუმცა, წესით და რიგით, ამას ნელ-ნელა ბოლო უნდა მოეღოს. საამისოდ პირველი ნაბიჯი უკვე გადადგმულია.

რუსეთში უცხოური წარმოების ავტომანქანები ძვირდება

რუსეთის მთავრობამ მნიშვნელოვნად გაზარდა საბაჟო განაკვეთები უცხოური წარმოების ნახმარ ავტომანქანებზე. მთავრობის ეს გადაწყვეტილება ძალაში ერთი თვის შემდეგ შევა. ახალი წესებით, რუსეთში შემოტანილ შვიდი წლის ავტომანქანის განბაჟებისას, რომლის ძრავაც 2,5 ათას კუბურ სანტიმეტრამდეა, კერძო პირი ერთ კუბურ სანტიმეტრზე ორ ევროს გადაიხდის. გაცილებით მძლავრი ტექნიკის მოყვარულები ერთ კუბურ სანტიმეტრზე სამ ევროს გადაიხდიან.

მაგალითად, საშუალო სიმძლავრის "ფოლკსვაგენ-გოლფის" განბაჟება ერთი თვის შემდეგ 2,8 ათასი დოლარი ეღირება. ეს კი ასეთი მარკის მანქანების ფასს, დაახლოებით, 5,5 ათას დოლარამდე გაზრდის. შესაბამისად, შვიდი წლის "მიცუბიში-პაჯეროს" განბაჟება 17,5 ათასი დოლარი დაჯდება. ამჟამად ნახმარი "ფოლკსვაგენ-გოლფის" ყიდვა ბაზარზე 4,5 ათას დოლარად შეიძლება, "მიცუბიში-პაჯეროსი" კი – რვა ათას დოლარად.

საზოგადოება

მეტროპოლიტენის პოლიცია სასექტემბროდ ემზადება

ნანა ქადაგიშვილი

სექტემბრიდან მეტროს ვესტიბიულებსა და ვაგონებში ე.წ. ხელზე ვაჭრობა იკრძალება. ასეთი გადაწყვეტილების მიღებას მერია და მეტროპოლიტენის ხელმძღვანელობა ჯერ კიდევ ერთი-ორი თვის წინათ აპირებდნენ, მაგრამ მოვაჭრეთა თხოვნა-საჩივრების გამო გადაიფიქრეს. თანაც, ზაფხულში მგზავრიც ცოტა იყო, მოსიარულე მოვაჭრეები ნაკლებ პრობლემას ქმნიდნენ და ამიტომ ვაჭრობის უფლება 31 აგვისტომდე მისცეს. სექტემბრიდან კი მეტროს მგზავრები მოემატება.

"თბილისი ერთადერთი ქალაქია, სადაც მეტროს ვაგონებსა და სადგურებში ვაჭრობენ. ეს მეტროპოლიტენის წესების უხეში დარღვევაა და მგზავრებსაც დისკომფორტს უქმნის", – უფრთხილდება მგზავრების ნერვებს ყველაზე ხალხმრავალი საზოგადოებრივი ტრანსპორტის უფროსობა.

ასეთმა მტკიცე გადაწყვეტილებამ ვაგონებში მოვაჭრეებს ბრძოლის სურვილი მაინც ვერ დაუკარგა და მეტროპოლიტენის ხელმძღვანელობას საჩივარს საჩივარზე უგზავნიან.

"სულ რომ გავწყდეთ, ზედ არავინ შემოგვხედავს. აქ ისეთი ხალხი ვაჭრობს, ვისაც საკუთარი სოროც კი არა აქვს. უპატრონო და უსახლკარო ბავშვებისთვის მეტროში ვაჭრობა ერთადერთი გამოსავალია. ან უნდა იმათხოვრონ, იქურდონ, ანდა უარესი ქნან, სხვანაირად დაიხოცებიან. მათ ამას ჩვენი მთავრობა აიძულებს. მგზავრები არ შეაწუხოთო... ჩვენ რითიღა ვიარსებებთ, ეს არავის აინტერესებს. რატომ იმათ არ ყრიან, ვისაც მეტროში ჯიხურები აქვს ჩადგმული? ისინი ფულს უხდიან და იმიტომ", – ჩივიან ასაკოვანი მოვაჭრეები და დათმობას არ აპირებენ. მოზარდი მოვაჭრეები კი იმუქრებიან, "მეტროში ისე ჩამოვიპარებით, ვერავინ ვერაფერს გაიგებსო".

პოლიციამაც იცის, რომ 1 სექტემბერს კარგი დღე არ დაადგება. "ვაჭრობის აკრძალვას რა მოყვება, არავინ იცის, მაგრამ ყველაფრისთვის მზად ვართ. ცოდოა ეს ხალხი, მაგრამ მეტროში ვაჭრობა ნამდვილად არ შეიძლება. თანაც, ყველაფერი პოლიციას ბრალდება, მოვაჭრეებთან შეკრულები ხართო. ერთიორი ხელმრუდი ყველგან გამოერევა, მაგრამ, დამიჯერეთ, პოლიციას ვაგონებში ვაჭრობა სულაც არ აძლევს ხელს, პირიქით, ჩვენი მოვალეობა წესრიგის დამყარებაა", – ირწმუნება მეტროპოლიტენის პოლიციის სამმართველოს უფროსი შალვა იოსელიანი.

რაც შეეხება ჯიხურების მეპატრონეთა მიმართ წაყენებულ პრეტენზიას, მეტროს ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ აკრძალვა მხოლოდ უნებართვოდ მოვაჭრეებს ეხება. "მეტროს გვირაბები და ვესტიბიულები კერძო პირებს იჯარით აქვთ აღებული, მათ ჯიხურის ჩადგმისა და ვაჭრობის შესაბამისი ნებართვაც აქვთ, ამიტომ ვაჭრობას ვერ ავუკრძალავთ", – ამბობს მეტროპოლიტენის ხელმძღვანელობა. აქედან გამომდინარე, აკრძალვა გაზეთებით მოვაჭრეებსაც ეხება. შალვა იოსელიანის ინფორმაციით, მეტროში პრესით ვაჭრობაზე 1995 წელს გაცემული ნებართვა გაუქმდა და ჟურნალ-გაზეთების გამყიდველებიც უნებართვოდ ვაჭრობენ.

კომფორტზე, წესრიგსა და სისუფთავეზე კარგი რა არის, მაგრამ გამოდის, რომ მგზავრებს დისკომფორტს მხოლოდ უნებართვოდ მოვაჭრეები უქმნიან. მეტროს შესასვლელებსა და ვესტიბიულებში ყოველი ფეხის ნაბიჯზე ჩამწკრივებულ ჯიხურებსა თუ დახლებს კი ხელშეუხებლობის საბუთი – ნებართვა აქვთ.

ხელზე მოვაჭრეები ლევან ხარხელიძის ფოტო

გამგებელი გორისათვის ქალაქის სტატუსის აღდგენას აპირებს

ვასილ გულეური

გორის გამგებელმა პაატა ჩხეიძემ მასმედიისა და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისათვის პრესკონფერენცია გამართა. როგორც მან აღნიშნა, ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლები აგვისტოში 66,8 პროცენტით შესრულდა, წლის ბოლომდე კი ამ მაჩვენებლის გაზრდას 90 პროცენტამდე ვარაუდობენ. იგი ქალაქის გაზით მომარაგებით საკითხსაც შეეხო და განაცხადა, რომ გორში მალე მეორე გაზმომწოდებელი კომპანიაც შემოვა, რის შემდეგაც "გორიგაზი" აღარ იქნება ერთადერთი მონოპოლისტი და გაზის მოწოდებაც გაუმჯობესდება.

პაატა ჩხეიძის თქმით, დღეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და მტკივნეული საკითხია გორისათვის ქალაქის სტატუსის აღდგენა. როგორც გამგებელმა განაცხადა, ეს ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდს უკავშირდება; კერძოდ, 1989 წელს პარტიის საქალაქო კომიტეტის პლენუმმა ალექსანდრე კავსაძე დანიშნა გაერთიანებული პარტიული კომიტეტის პირველ მდივნად. **"ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ცვლილების, კონსტიტუციური ცვლილების გარეშე კომუნისტური პარტიის ქალაქკომის და რაიკომის გაერთიანებამ გადაიქცია გორი რაიონული დაქვემდებარების ქალაქად,"** - თქვა პაატა ჩხეიძემ. - **"ალექსანდრე კავსაძემ კანონის დარღვევით გააერთიანა რაიონული და საქალაქო საბჭოები. დღევანდელი კანონით მხოლოდ პრეზიდენტს აქვს უფლება სპეციალური სტატუსი მიანიჭოს რომელიმე რაიონულ ერთეულს."** როგორც პაატა ჩხეიძემ განაცხადა, ამ საკითხთან დაკავშირებით სწორედ პრეზიდენტს უნდა მიმართონ. საჭიროა მოსახლეობის აზრის გათვალისწინებაც. ამისათვის კი, შესაძლოა, დაიწყოს ხელმოწერების შეგროვება მოსახლეობაში გორისათვის ქალაქის სტატუსის აღდგენის მოთხოვნით.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენების ქრონიკა

შეადგინა გიორგი ასანიშვილმა

საპატიო სტუმრები: ევროპაში გაერთიანებული შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლის მოადგილე, გენერალი დიტერ შტოკმანი და უეფას პრეზიდენტი ლენარტ იუჰანსონი.

აგრესია: ახმეტისა და თიანეთის რაიონებში რუსეთის სამხედრო ავიაციამ განახორციელა შეიარაღებული აგრესია. დაიბომბა ახმეტის რაიონის ილტოს ხეობა, შემდეგ კი დაბა თიანეთის ტყის მასივები. დაიღუპა ერთი და დაიჭრა 7 ადამიანი.

მოთხოვნა: საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება "რუსეთის სამხედრო ძალების მიერ საქართველოს ტერიტორიის დაბომბვის ფაქტთან დაკავშირებით". დოკუმენტის თანახმად, საქართველოს მთავრობამ ცალმხრივად უნდა განსაზღვროს საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანის ვადები და შეუწყვიტოს მანდატი დსთ-ს კოლექტიურ სამშვიდობო ძალებს, ხოლო პრეზიდენტმა შევარდნაძემ დაიწყოს დსთ-ში საქართველოს გაწევრიანების შესახებ ხელშეკრულების დენონსაციისთვის აუცილებელი პროცედურები.

დანაკლისი: გარდაიცვალნენ - ცნობილი ქართველი ხელოვანი, საქართველოს სახალხო მხატვარი ნიკოლოზ (კოკა) იგნატოვი და პოეტი მურმან ლებანიძე.

კონფლიქტი: კასპში ჩაიშალა იეღოვას მოწმეთა მიერ დაგეგმილი კონგრესი, რადგან დაუდგენელმა პირებმა დაწვეს და დაარბიეს იეღოვას ერთ-ერთი მოწმის - უშანგი ბუნტურის ოჯახში მოწყობილი სცენა და იქ დამონტაჟებული აპარატურა.

ინციდენტი: კოდორის ხეობაში, მარუხის უღელტეხილზე ქართულ და აფხაზურ შეიარაღებულ ჯგუფებს შორის სროლა ატყდა. მხარეთა დაპირისპირებას მსხვერპლი არ მოყოლია.

ახალი ალიანსი: დაფუძნდა პოლიტიკურ პარტიათა საკოორდინაციო საბჭო - ედპ-ს, "გაერთიანებული დემოკრატებისა" და "ტრადიციონალისტთა კავშირის" შემადგენლობით.

საგელვეიზიო რეკლამების კვლევა და მონიტორინგი

ჯორჯიან რისარჩი

ჯორჯიან რისარჩი სატელევიზიო რეკლამების მონიტორინგს აწარმოებს 1997 წლის მისიდან. ამ პერიოდიდან ჩვენ მოვაგროვეთ სრული მონაცემები საქართველოს სატელევიზიო სარეკლამო ბაზრის შესახებ.

- რამდენი სარეკლამო რგოლიანი გაშვებულა/ეფირებოდა სარეიტინგო ეთერში დროის მიცემულ დღის/კვირის/თვის/წლის განმავლობაში
- რამდენი წამი/წუთი/საათი ეჭირა მოცემული არხის ეთერში დროის მიცემულ შუალედის რეკლამას
- რაოდენი იყო ამ მონაცემები პროცენტული განაწილება არხებზე რამდენ სატელევიზიო გადაცემებში მიზიდული რეკლამის მაქსიმალურად/ოპტიმალურად (მაღალრეიტინგული გადაცემები)
- რამდენ არხზე გავიდა ყველაზე მეტი რეკლამა
- რამდენი არხის ეთერში ეჭირავა რეკლამას ყველაზე დიდი დრო და ა.შ.

ეს მონაცემები დაგვჭირდებოდა სარეკლამო კამპანიის სწორად დაგეგმვასა და წარმართვაში. ჩვენი შეფასების მიღება შესაძლებელია ყოველკვირეულად ან 10 დღეში ერთხელ, ან ყოველთვიურად. ეს შესაძლებელს ხდის, ოპერატიულად შეცვალოთ სარეკლამო პოლიტიკა და უფრო მოქნილი გახადოთ იგი.

ჩვენი ტელეფონები: 25-35-48; (899) 51-19-94

1 აგვისტო - თბილისის საკრებულოში ლეიბორისტული პარტიის 15 დეპუტატიდან შვიდმა, ავთანდილ ტყებუჩავას მეთაურობით, ახალი ფრაქცია შექმნა.

- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე თამაზ ნადარეიშვილმა აფხაზეთის ლეგიტიმური აღმასრულებელი ხელისუფლება გადაყენებულად გამოაცხადა და აფხაზეთში პარტიზანულ მოძრაობაზე მორატორიუმი შეწყვიტა. სხდომის მიმდინარეობისას შეურაცხყოფა მიაყენეს პარლამენტარ ჯემალ გამახარიას.
- საქართველოს პრეზიდენტის პრესმდივნის კახა იმნაძის განცხადებით, "თუ რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ ბინძურ კამპანიას გააგრძელებს, საქართველო იძულებული იქნება, დატოვოს დსთ-ს რიგები".

2 აგვისტო - სამხედრო აკადემიაში გაიმართა "წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამის საშტაბო სწავლების პირველი ეტაპის დასრულებისა და სამეთაურო საშტაბო სწავლების კურსდამთავრებულთა დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი, რომელსაც დაესწრნენ პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე, პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე, სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე, აშშ-ს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში რიჩარდ მაილსი და სხვა ოფიციალური პირები.
- თბილისს ეწვია აშშ-ს კონგრესმენთა დელეგაცია დევიდ დრაიერის ხელმძღვანელობით.
- საგარეო საქმეთა სამინისტროში გაიმართა ჩინეთის მთავრობის მიერ საქართველოსთვის 5 მილიონი იუანის ოდენობის დახმარების თაობაზე ნოტის ხელმოწერის ცერემონიალი.
- გაიმართა საზოგადოებრივი მოძრაობა "ფესვების" დამფუძნებელი ყრილობა.
- საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით, გიორგი წკრიალაშვილი დაინიშნა იუსტიციის მინისტრის პირველ მოადგილედ, ხოლო კონსტანტინე კუბლაშვილი - იუსტიციის მინისტრის მოადგილედ.
- ლონდონში ხელი მოეწერა დოკუმენტებს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის სამშენებლო კომპანიის (BTC) დაფუძნების თაობაზე.
- საქართველოს პრეზიდენტმა გამოსცა ბრძანებულება "საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის სტრუქტურისა და რეფორმის პირველი რიგის ღონისძიებების შესახებ".
- პარლამენტარი ვალერი გელბახიანის განცხადებით, "კანონის დარღვევით ორი თანამდებობის შეთავსების გამო, იგი აპირებს პარლამენტში დააყენოს თამაზ ნადარეიშვილის იმპიჩმენტის საკითხი".
- საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვრის ჩეჩნეთის მონაკვეთზე "მი-8" ტიპის ვერტმფრენმა საქართველოს საჰაერო სივრცე დაარღვია.
- რუსმა სამხედროებმა რუსეთის ზონა ქართული ავიაკომპანიებისთვის დახურულად გამოაცხადეს.

3 აგვისტო - პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი საქართველოში ჰეიდი ტალიავინი.
- საქართველო-რუსეთის ჩეჩნეთის მონაკვეთზე, გირევის საგუშაგოს მიდამოებში, რუსეთის მხრიდან საზღვრის გადმოკვეთისას, გამოვლენილი და დაკავებული იქნა შვიდკაციანი შეიარაღებული ჯგუფი.
- საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვრის ჩეჩნეთის მონაკვეთიდან საქართველოს ტერიტორიაზე შემოფრენილმა რუსეთის რამდენიმე საბრძოლო თვითმფრინავმა დაბომბა ჭონთიოს მთის მიმდებარე ტერიტორია.
- თუშეთში გაიმართა სახალხო დღესასწაული "თუშეთობა", რომელშიც მონაწილეობა მიიღო სახელმწიფო მინისტრმა ავთანდილ ჯორბენაძემ.
- დაიწყო საქართველოს ჩემპიონატი ფეხბურთში. ფეხბურთის ფედერაციის მიმართ დავალიანების გამო (22-22 ათასი ლარი თითოეულს), თბილისის "მერანს", წნორის "მილანს", რუსთავის "გორდას" და ზესტაფონის "მეტალურგს" პირველ ტურში წაგებები ჩაეთვალათ.
- სოხუმში გაიხსნა კლასიკური მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი "ბიჭვინთა-2002".

5 აგვისტო - საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება თბილისის საკრებულოს არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმის გაუქმების შესახებ.
- გარდაიცვალა ცნობილი ქართველი ხელოვანი, საქართველოს სახალხო მხატვარი ნიკოლოზ (კოკა) იგნატოვი.

6 აგვისტო - ქართველი მესაზღვრეების მიერ დაკავებულ შვიდ ჩეჩენს სამთვიანი წინასწარი პატიმრობა შეეფარდა.
- თბილისში სტუმრად მყოფ რუსეთის გენერალურ პროკურორს ვლადიმერ უსტინოვს უარი ეთქვა რუსეთის მხარისთვის ჩეჩენი საზღვრისდამრღვევების უპირობო გადაცემაზე.

7 აგვისტო - საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებამ დაიწყო ჰუმანიტარული დახმარების პროგრამის განხორციელება, რომელიც თბილისში მიწისძვრით დაზარალებული მესამე კატეგორიის ოჯახებისთვის არის განკუთვნილი.

- სოხუმში ჩავიდა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე, პრეზიდენტი პუტინის პირადი წარმომადგენელი ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირების საკითხებში, ვალერი ლოშინინი.

8 აგვისტო - პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო საქართველოში აშშ-ს ელჩის მოადგილე ფილიპ რემლერი, რომელმაც საქართველოში თავისი სამნლიანი დიპლომატიური მოღვაწეობა დაასრულა.

9 აგვისტო - საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით, დავით სახვაძე გათავისუფლდა ხარაგაულის რაიონის გამგებლის თანამდებობიდან.
- პოლიციამ დააკავა ამიერკავკასიაში რუსეთის საჯარისო დაჯგუფების შტაბის პოლკოვნიკის იგორ ზაიცევის მკვლელობაში ეჭვმიტანილი პიროვნება.
- ხარაგაულის რაიონის ტერიტორიაზე მომხდარი ავტოავარიის შედეგად დაიღუპა ცხრა ადამიანი.

12 აგვისტო - ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 2 ივნისის თბილისის თვითმმართველობის არჩევნების ბიულეტენების ხელახალი დათვლა დაიწყო.

- საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელმა კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება 1 სექტემბრიდან 1 კილოვატსაათი ელექტროენერგიის ტარიფის 1,3 თეთრით გაზრდის თაობაზე. პრეზიდენტი შევარდნაძის თქმით, "ელექტროენერგიის გაზრდილი ტარიფი მოსახლეობას ტვირთად არ დააწვება და მას სახელმწიფო გადაიხდის".

13 აგვისტო - კოდორის ხეობაში, მარუხის უღელტეხილზე ქართულ და აფხაზურ შეიარაღებულ ჯგუფებს შორის სროლა ატყდა. ინციდენტის ადგილზე ჩავიდნენ სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე და განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრი მალხაზ კაკაბაძე. მხარეთა დაპირისპირებას მსხვერპლი არ მოყოლია.

- საქართველოში ხუთდღიანი ვიზიტით ჩამოვიდა ამერიკელი კონგრესმენი ლოიდ დაგეტი.

14 აგვისტო - დაუდგენელმა პირებმა საკუთარ საცხოვრებელ სახლში მოკლეს კომპანია "ეი-ი-ეს თელასის" ფინანსური დირექტორი ნიკა ლომინაძე.

- რუსულმა სამხედრო თვითმფრინავმა საქართველოს საჰაერო სივრცე დაარღვია.
- პრეზიდენტი შევარდნაძის განკარგულებით, ლორიკ მარშანია დაინიშნა საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულად სახალხო დიპლომატიის დარგში.

15 აგვისტო - პრეზიდენტ შევარდნაძეს რწმუნებათა სიგელები გადასცა საქართველოში იაპონიის ახალმა საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ტოშიუკი ფუჯივარამ.
- კასპში ჩაიშალა იეღოვას მოწმეთა მიერ დაგეგმილი კონგრესი, რადგან დაუდგენელმა პირებმა დაწვეს და დაარბიეს იეღოვას ერთ-ერთი მოწმის - უშანგი ბუნტურის ოჯახში მოწყობილი სცენა და იქ დამონტაჟებული აპარატურა. მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით აღიძრა სისხლის სამართლის საქმე.
- დაუდგენელმა პირებმა გაიტაცეს სამშვიდობო ძალების დამკვირვებელი, ვიცე-პოლკოვნიკი ზურაბ დურგლიშვილი.

18 აგვისტო - გარდაიცვალა ცნობილი ქართველი პოეტი მურმან ლებანიძე.

19 აგვისტო - ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ოფისში დაფუძნდა პოლიტიკურ პარტიათა საკოორდინაციო საბჭო, ედპ-ს, "გაერთიანებული დემოკრატებისა" და "ტრადიციონალისტთა კავშირის" შემადგენლობით. საკოორდინაციო საბჭომ მიიღო დეკლარაცია და დაამტკიცა საბჭოს შემადგენლობა.



- პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო საქართველოში მყოფი ამერიკელი სენატორები - ჯონ მაკკეინი და ფრედ ტომპსონი.
- ურეკში მწყობრში ჩადგა რკინიგზის ახალი სადგური.

20 აგვისტო - სამართალდამცავებმა მოახდინეს შეიარაღებული მძარცველის ფიზიკური ლიკვიდაცია, რომელმაც რკინიგზის ვაგზლის ოქროს სავაჭრო ცენტრიდან ოქროს ნაკეთობები გაიტაცა და რამდენიმე მძევალი აიყვანა.

- პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო ევროპაში გაერთიანებული შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლის მოადგილე, გენერალი დიტერ შტოკმანი.
- გაიხსნა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ახალი შენობა. საგანგებოდ ამ მოვლენისთვის თბილისს ეწვია უეფას პრეზიდენტი ლენარტ იუჰანსონი, რომელმაც, პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძესთან ერთად, საზეიმოდ გახსნა ქართული ფეხბურთის სახლი.

21 აგვისტო - ცხინვალის რაიონში, კონფლიქტის ზონაში

განლაგებულმა რუსულმა სამშვიდობო ძალებმა უხეშად დაარღვიეს მათი მანდატით განსაზღვრული უფლებები და მოვალეობები. მათ განახორციელეს სამხედრო მანევრი მანდატით განსაზღვრული არეალის ფარგლებს გარეთ ისე, რომ საქართველოს შესაბამისი სტრუქტურები ამის შესახებ ინფორმირებულნი არ ყოფილან.

22 აგვისტო - პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო საქართველოში სტუმრად მყოფი ცნობილი ბრიტანელი მსახიობი ვანესა რედგრეივი.

- ენგურის ხიდზე დაიწყო აფხაზეთიდან დევნილების საპროტესტო აქცია. მისი მონაწილეები ითხოვენ კონფლიქტის ზონიდან რუსული სამშვიდობო ძალების გაყვანას და გაეროს წესდების მეშვიდე მუხლის ამოქმედებას.

23 აგვისტო - ახმეტისა და თიანეთის რაიონებში რუსეთის სამხედრო ავიაციამ განახორციელა შეიარაღებული აგრესია. დაიბომბა ახმეტის რაიონის ილტოს ხეობა, შემდეგ კი - დაბა თიანეთის ტყის მასივები. დაიღუპა ერთი და დაიჭრა 7 ადამიანი.

- პანკისში 23 აგვისტოს დატრიალებულ მოვლენებთან დაკავშირებით, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ირაკლი მენაღარიშვილმა შეხვედრები გამართა საქართველოში აკრედიტებულ ყველა დიპლომატიური წარმომადგენლობის დელეგაციასთან. რუსეთის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს საქართველოში ვლადიმერ გუდევს გადაეცა საპროტესტო ნოტა.

24 აგვისტო - საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის V საანგარიშო-საარჩევნო ყრილობამ ფედერაციის პრეზიდენტად აირჩია მერაბ ჟორდანია.

25 აგვისტო - ახმეტის რაიონის სოფელ ფიჩხოვანში დაიწყო გეგმიური სამეთაურო-საშტაბო წვრთნა "კახეთი-2002". სწავლების დაწყების ცერემონიალში მონაწილეობდნენ თავდაცვის მინისტრი დავით თევზაძე, ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი თედო ჯაფარიძე, საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე ვალერი ჩხეიძე.

- პანკისის ხეობაში დაიწყო ანტიკრიმინალური ოპერაციის პირველი ეტაპი. ხეობაში შევიდა შინაგანი ჯარის დამატებითი ნაწილები და მძიმე ტექნიკა.

26 აგვისტო - საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება "რუსეთის სამხედრო ძალების მიერ საქართველოს ტერიტორიის დაბომბვის ფაქტთან დაკავშირებით". დოკუმენტის თანახმად, საქართველოს მთავრობამ ცალმხრივად უნდა განსაზღვროს საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანის ვადები და შეუწყვიტოს მანდატი დსთ-ს კოლექტიურ სამშვიდობო ძალებს, ხოლო პრეზიდენტმა შევარდნაძემ დაიწყოს დსთ-ში საქართველოს გაწევრიანების შესახებ ხელშეკრულების დენონსაციისთვის აუცილებელი პროცედურები. საქართველოს პარლამენტმა მიიღო აგრეთვე განცხადება "რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს ტერიტორიის დაბომბვასთან დაკავშირებით" და მიმართა რუსეთის სახელმწიფო სათათბიროსადმი და სახელმწიფო საბჭოსადმი.

- გაეროში საქართველოს მუდმივმა წარმომადგენელმა რევაზ ადამიამ ნიუ-იორკში ბრიფინგი გამართა, რომლის დროსაც რუსეთი სახელმწიფო ტერორიზმში დაადანაშაულა.

27 აგვისტო - პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე ახმეტის რაიონში ჩავიდა და 23 აგვისტოს დაბომბვის დროს დაღუპული გურამ ოტიაშვილის ოჯახი მოინახულა.

29 აგვისტო - დაიწყო ქართველ სამხედროთა ტაქტიკური მომზადების მესამე ფაზა, პროგრამის "წვრთნა და აღჭურვის" ფარგლებში. ამასთან დაკავშირებით სასწავლო ბაზა "კრწანისში" საზეიმო ღონისძიება ჩატარდა.

- ბრიუსელში გავრცელებულ განცხადებაში ევროკავშირი სერიოზულ შეშფოთებას გამოთქვამს 23 აგვისტოს "საქართველოს ჩრდილოეთით სოფლების დაბომბვის გამო".

30 აგვისტო - ჩეხეთის პრეზიდენტს ვაცლავ ჰაველს პრაღაში რწმუნებათა სიგელები გადასცა საქართველოს ელჩმა ცენტრალური ევროპის ქვეყნებში გიორგი არსენიშვილმა.

- საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ წარმომადგენლობათა ხელმძღვანელები პანკისის ხეობაში ჩავიდნენ, სადაც მათ დაათვალიერეს ახალი ბლოკ-პოსტები და მოინახულეს მშენებარე ხადორის ჰესი.

www.24hours.ge 24 B

„ეს იყო პეტერბურგში...„

რუსეთის ძველი დედაქალაქი იუბილესთვის ემზადება

მადი სერებრიაკოვა

არხი ერმიტაჟის წინ

ვოლკოვის ტრიო

ზაფხული პეტერბურგში კარგი იდეაა. მითუმეტეს ახლა, როცა რუსეთის ყველაზე ევროპული ქალაქი 300 წლის იუბილესთვის ემზადება. ამ თარიღისთვის პეტერბურგელები ძალზე სერიოზულად ემზადებიან. როგორც თვითონ ამბობენ, разошлисъ не на шутку – იმდენად, რომ სულ რაღაც ერთ წელინადში ქალაქი აშკარად ძნელად საცნობი გახდა. რაც მთავარია, ქალაქის მესვურები ცენტრალური პროსპექტების ფასადების შებათქაშებით არ იფარგლებიან. ამას ბევრი უხერხულობაც მოჰყვება – განსაკუთრებით უცხოელი ტურისტებისთვის. ამ უკანასკნელთ გამუდმებული ლავირება უხდებათ ისედაც უცხო ქუჩებში, რომლებსაც ყოველდღიურად უცვლიან ფერს, ფორმასა და, თქვენ წარმოიდგინეთ, მიმართულებასაც.

პეტერბურგი ტურისტებს ყოველთვის უყვარდათ, სიყვარულის მიზეზები კი თანდათან მატულობს. ერმიტაჟის, ყაზანისა თუ რუსული მუზეუმების, პეტრეს და ეკატერინეს სასახლეებს რომ დავანებოთ თავი, არაჩვეულებრივი თავშესაქცევია კატერით ნევასა და არხებზე სეირნობაც. საინტერესოა, რომ სიამოვნების ეს ნაირსახეობა ჩემმა პეტერბურგელმა მეგობრებმაც ჩემთან ერთად აღმოაჩინეს. ასეა, ვერ ვაფასებთ "შინაურ მღვდლებს". განახლებულ პეტერბურგში ისტორიულ და მხატვრულ-არქიტექტურულ ღირებულებებს მშვენივრად შეერწყა ფეშენებელური სალონები და გასართობი დაწესებულებები. ამ მხრივ არჩევანი დიდია და თბილისისაგან განსხვავებით, სადაც ერთი რომელიმე სარდაფი ყველა დარგისა და ჟანრის სანახაობას იტევს, იქ ყველანაირ "მომხმარებელს" თავისი "ადგილი" აქვს და ინტერესების შესაბამისად ირჩევს, სად გაატაროს საღამო თუ დილა. ლიტერატორები კლუბ Пар-ს ეტანებიან, სადაც ლუდის ფასი გამოჩენილი ადამიანების სიუხვის შესაბამისად მატულობს. თუმცა, ელიტიზმისკენ მიდრეკილებას პეტერბურგის ლიტერატურულ ბომონდს ნამდვილად ვერ დავაბრალებ. უფრო პირიქითაა. აქ შეიძლება ერთი საათი ისე ისაუბრო და მეგობრული ქართული სადღეგრძელოები შესვა თანამედროვე რუსული ლიტერატურის ერთ-ერთ ვარკვლავთან და წლევანდელი ლიტერატურული პრემიების ერთპიროვნულ ლიდერთან პაველ კრუსანოვთან, რომ მისი ვინაობა არც იცოდე.

მხატვრებს თავისი "ადგილები" აქვთ. აგვისტოში "მანეჟში" მხატვრული პერფორმანსის ფესტივალი გაიხსნა და შესაბამისად, ერთი კვირა მხატვრების "ტუსოვკა" მანეჟში "მოძრაობდა". ფესტივალი დიდი ვერაფერი – ძირითადად ფინეთიდან ჩამოსული, საეჭვო მხატვრული ბიოგრაფიის მქონე, ხანშიშესული მანდილოსანი არტისტებით იყო შემდგარი; ყველაზე გამორჩეული ნამუშევარი-სანახაობა იყო გაზით გაბერილი პრეზერვატივების ჰაერში გაშვება. ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ერმიტაჟში მოწყობილმა მექსიკური ნიღბების გამოფენამ. თუმცა, რამდენიმე საათი რიგში დგომად და შემორბენით დათვალიერებად არც ღირდა.

ყველაზე საინტერესო და ნაყოფიერი ჩემთვის მაინც მუსიკოსებთან ურთიერთობა იყო. აქ ერთი გარემოებაა გასათვალისწინებელი: მუსიკალური ცხოვრების თვალსაზრისით მოსკოვი პეტერბურგისგან ძლიერ განსხვავდება. მოსკოვი რუსული შოუ-ბიზნესის დედაქალაქია და ნებისმიერი სახის მუსიკა აქ კომერციის მკაცრ კანონებს ექვემდებარება. პეტერბურგში პირიქითაა – პოპ-მუსიკოსები აქ ბაზრის უქონლობას უჩივიან და მოსკოვისკენ მიილტვიან, პეტერბურგული წარმოშობის პოპ-ვარსკვლავებთან: ზარასთან და ჯგუფ Сливки-ს პროდიუსერთან საუბრისას მათგან საკუთარი ქალაქის გვარიანი ლანძღვა-გინებაც მოვისმინე. სამაგიეროდ, პეტერბურგში მშვენივრად გრძნობენ თავს ნაკლებ კომერციული მუსიკის წარმომადგენლები: ბორის გრებენშჩიკოვი, ავანგარდული ჯაზ-ტრიო Волков Трио, Tequilajazzz, ფინანსურად წარმატებული Спорт და არასერიოზული Deadushki. ტიპიური პოპის (პეტერბურგელები მას савок-საც ეძახიან – როგორც საბჭოთა ესტრადის მემკვიდრეს) წარმომადგენლებისგან განსხვავებით, ეს უკანასკნელები არაკომერციული მუსიკოსების იმიჯს მშვენივრად უთავსებენ MTV-ზე მოპოვებულ წარმატებასა და ფინანასურად ხელსაყრელ გასტროლებსაც.

პეტერბურგული არაკომერციული მუსიკოსების ძირითადი თავშესაფარი კლუბი Fish-Fabrique-ია. გარეგნულად კლუბი განსაკუთრებული ფეშენებელურობით არ გამოირჩევა, ცოტა ხალხს იტევს და საკონცერტო წარმოდგენებითაც ვერ დაიტრაბახებს. ეს უფრო "ტუსოვკის" ადგილია და იქ მხოლოდ კლუბის წევრები შედიან. პუშკინის 10-ში მოთავსებული ეს დაწესებულება, გარკვეულწილად, საბჭოთა პერიოდიდან იღებს სათავეს. პუშკინის 10-ში თავის დროზე რუსული როკის სახელოვანი წარმომადგენლები ცხოვრობდნენ და აქვე იყო მათი პირველი სტუდიები და სარეპეტიციო დარბაზები. ძველ დროს ეს შენობა მოხატული კედლებით და ძველი აფიშების ნაფლეთებითღა იხსენებს. ისე კი რეტროგრადული სულისკვეთება ნაკლებად იგრძნება და Fish-Fabrique-ის პუბლიკაც დღეს უფრო დასავლურ ღეიბლებლებზე და ელექტრონიკის ახალ მიღწევებზე საუბრობს: მოდურმა ტალღამ მოიტანა და თანამედროვე DJ-ებთან სამუშაოდ უკვე "ძველებიც" მიილტვიან. აი, თუნდაც ზემოთ ხსენებული ბორის გრებენშჩიკოვი, რომელმაც ორი უკანასკნელი ალბომი ცნობილ რუს DJ-ის ანდრეი სამსონოვს მიანდო. სამსონოვმა მანამდე თავი ზემფირას "ტრეფიკით" გამოიჩინა. მასვე ეკუთვნის გრებენშჩიკოვის დუეტი ბრიტანული ელექტრონული გეი-მუსიკის ერთ-ერთ ვარსკვლავთან მარკ ალმონდთან. ამ უკანასკნელმა რუსული რომანსების მთელი ციკლი ჩაწერა ალა ბაიანოვასთან, ლუდმილა ზიკინასთან, "მუმიი ტროლისა" და სხვა ყოვლად შეუთავსებელ რუს ვარსკვლავებთან ერთად. ეს ერთობ უცნაური პროექტი მომავალი წლის მაისში გამოვა და ალბათ უყურადღებოდ არ დარჩება.

პეტერბურგი დიდი ქალაქია, მაგრამ პუბლიკა იქაც საკმაოდ შეზღუდულია. თბილისის არ იყოს, ერთი თვის მანძილზე იქაც გამუდმებით ერთსა და იმავე სახეებს ვხვდებოდი კონცერტებსა და სხვა ღონისძიებებზე. არაკომერციული მუსიკის კონცერტები ხშირად კლუბ "მოლოკოში" და "რედ ქლაბში" იმართება. ეს, დაახლოებით, ჩვენი თეატრალური სარდაფის მსგავსი დაწესებულებაა, რამოდენიმე დარბაზით, ბარითა და საბილიარდოთი. იქ ჯგუფ Спорт-ის კონცერტს დავესწარი. პირველად მათი კლიპი MTV-ზე ვნახე და ბევრი ვიცინე: პატარა ინტელიგენტური გარეგნობის სათვალიანი ბიჭები ბევრს ხმაურობდნენ და განუწყვეტლივ ხტუნავდნენ. ეკრანის მიღმა, ცხოვრებაში, Спорт საკმაოდ სერიოზული ხალხი გამოდგა, ოღონდ როგორც რუსები იტყვიან - до поры до времени. რამოდენიმე ყლუპი არყის შემდეგ კი... ყველაფერი კარგად ცნობილი სცენარის მიხედვით წარიმართა. მუსიკალურად კონცერტმა დიდი ვერაფერი შთაბეჭდილება მოახდინა. თუმცა, პეტერბურგში მხიარულება იციან და არც ბოთლების თავებზე მტვრევით ამთავრებენ ამგვარ ღონისძიებებს.

არასაკონცერტო მოსმენები უფრო საინტერესო გამოდგა. რომ აღარაფერი ვთქვათ მარკ ალმონდის ზემოხსენებულ ოპუსზე, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა Волков Трио-სა და ლეონიდ ფიოდოროვის ერთობლივმა პროექტმაც, სადაც, სხვა მუსიკოსებთან ერთად, ცნობილი სკანდინავიელი ეთნო-ვარსკვლავი მარი ბოინიც იღებდა მონაწილეობას. გამიმართლა და ზემფირას პროდიუსერთან სტუმრობისას, უფელი სუპერვარსკვლავის რამოდენიმე ცნობილი სიმღერის (მათ შორის "ტრეფიკის") "არაკანონიკური" ვერსია მოვისმინე, ასევე სიმღერები, რომლებიც ალბომში არ შევიდა. ამის შემდეგ, ცოტა არ იყოს, ეჭვი შემეპარა ზემფირას გემოვნებაში – რომელმაც ეს სიმღერები არარუსული ჟღერადობის გამო დაიწუნა. ისინი მართლაც ცუდი გაგებით "არარუსულად" ჟღერდა – ლონდონში ჩაწერილი სიმღერები ტიპიურ დასავლურ პროდუქციას წარმოადგენდა და, მგონი, ბევრად სჯობდა მთელ ბოლო ალბომს.

არა, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ იქ, შორს ყველაფერი ძალიან კარგად არის. ერთ სასაცილო ფაქტსაც შევესწარი, რომელმაც რაღაცით მშობლიური რეალობა გამახსენა. პეტერბურგის მახლობლად, კრონშტადში ტრანს-ფართი მოაწყვეს. გრანდიოზულმა PR-კამპანიამ შედეგი გამოიღო და ბილეთები რამოდენიმე ათეული ათასის ოდენობით გაიყიდა. ფართი შედგა, მაგრამ ბილეთის მყიდველთა უმეტესობა იქ ვერ მოხვდა, ღია ცის ქვეშ სახელდახელოდ მოწყობილმა დისკოთეკამ ხალხი ვერ დაიტია. თუმცა ხალხი კი არა - რამოდენიმე წამყვანი DJ-იც ასცდა მხიარულებას.

პეტერბურგელები განსაკუთრებული რუსები არიან – ძალიან მეგობრული ხალხია, თუმცა, ამჯერად მათი აშკარად ნაწყენი გამოხმაურებების მოგერიება მომიხდა. რუსები ჩივიან – ქართველებს ჩვენთან მეგობრობა არ გინდათ, შევარდნაძე ჩვენს მიმართ აგრესიულ პოლიტიკას ეწევაო. ვერ გეტყვით, რა ობიექტურ საფუძველს ეყრდნობა მათი რწმენა – ეს პოლიტიკოსებმა გაარჩიონ. ასეა თუ ისე, ქართულ-რუსულ მეგობრობას პირადი და კულტურული ურთიერთობების დონეზე მაინც წარმატებით ვაგვარებთ.

მსოფლიო კინოს მარშრუტი: ვენეციია-დოვილი-მარაქეში

ანა ბერიძე

სოფი ლორენი ვაჟთან - ედუარდო პონტისთან ერთად


სალმა ჰაიეკის გმირი - ფრიდა კალო

დღე პირველი: ულვაშიანი ფრიდა

პრემიერის ღამეს, სალა გრანდეს ბრწყინვალე შენობაში შეკრებილი აუდიტორია ფეხზე წამომდგარი დიდხანს უკრავდა ტაშს ჩამქრალ ეკრანს, რომელზეც რამდენიმე წუთით ადრე "ფრიდას" ჩვენება დასრულდა. ფილმმა მოწონება დაიმსახურა. ის ფესტივალის გახსნის დღესვე "ოქროს ლომის" ერთ-ერთ ყველაზე რეალურ პრეტენდეტად დაასახელეს.

კალოს როლის შესრულებაზე, თავადაც წარმოშობით მექსიკელი სალმა იმ პერიოდიდან ოცნებობდა, როცა მექსიკური საპნის ოპერების ვარსკვლავი იყო. სწორედ ამ ოცნებამ წაიყვანა ის ჰოლივუდში. როცა რობერტ როდრიგესმა ის ფილმზე "დესპერადო" დაამტკიცა, სალმამ ორი ღერი ინგლისურიც არ იცოდა, თუმცა, მაინც გარისკა და გაუმართლა. "დესპერადოს" შემდეგ ჰაიეკი გადაიღეს როდრიგეს-ტარანტინოს მორიგ ნამუშევარში "აისიდან დაისამდე", რომელსაც უილ სმიტის კომედია "ველური, ველური დასავლეთი" მოჰყვა. სალმა ჰოლივუდში ცნობილი ქალი გახდა. თუმცა, ბუნებრივია, მის კინოკარიერას ყველაზე მეტი სერიოზულობა და ხარისხი სწორედ ფრიდას როლის შესრულებამ შესძინა. მანამდე ხომ ჰაიეკს, ძირითადად, კომედიური ჟანრის ფილმებში იღებდნენ, თანაც ზედმიწევნით ლათინურ და სტანდარტულ როლებში. ეს კი წარმოშობით მექსიკელი ქალისთვის დიდი სირთულე არ უნდა ყოფილიყო.

ასე რომ, ჰაიეკისთვის ჯული ტეიმორის ფილმმა ყველაფერი შეცვალა. თავიდან სცენარს ხელს არავინ კიდებდა, მაგრამ სალმამ შვიდი წელი იომა, შეაწუხა რეჟისორები (პარალელურად, ჯენიფერ ლოპესსა და მადონას უმკლავდებოდა, რომელთაც ასევე ჭკუაში დაუჯდათ ფრიდა კალოს სცენარი) და ბოლოს სტუდია "მირამაქსის" თანხმობაც მიიღო. ასე გაჩნდა "ფრიდა" - ფილმი, რომლის მთავარი როლის შემსრულებელი და პროდიუსერიც ჰაიეკი თავად არის.

ფილმი, რომელშიც ჰაიეკს პარტნიორობას ალფრედ მოლინა, ჯეფრი რაში, ეშლი ჯადი, ედვარდ ნორტონი და ანტონიო ბანდერასი უწევენ, ინგლისურენოვანია, მაგრამ გადაღებულია მეხიკო-სიტის ცენტრში, სწორედ იმ სახლებში, სადაც ფრიდა კალო და დიეგო რივერა ცხოვრობდნენ. ფილმის უმთავრესი მიზანი 1930-40-იანი წლების არეულ მექსიკაში კომუნისტი მხატვრის, ფრიდა კალოს ცხოვრების აღწერაა – სახიფათო ავტოკატასტროფის (სწორედ მაშინ დაიწყო საწოლს მიჯაჭვულმა ფრიდამ ხატვა), ფრესკული ფერწერის ოსტატის, რივერას სიყვარულის ისტორიისა და ტროცკისთან ურთიერთობის ჩათვლით. ფილმი სავსეა წმინდა მექსიკური სცენებით, მუსიკით, ფოლკლორით და კალოს შთამბეჭდავი ავტოპორტრეტებით. ფრიდას სახის უკეთ შესაქმნელად ჰაიეკმა ცოტა ხნით გვერდზე გადადო თავისი სექსუალური იმიჯი, მიიმაგრა ხელოვნური წარბები, მოიპარსა ზედა ტუჩი და საბოლოო ჯამში მართლაც დაემსგავსა წარბებგადაბმულ, ულვაშიან მექსიკელ კომუნისტ ქალს.

დღე მეორე: დედა - სექს-სიმბოლო - დედა

30 აგვისტოს ვენეცია ისეთი ფაქტის მომსწრე გახდა, რაც უკვე 20 წელია, არ მომხდარა – ლიდოს შენობაში სოფი ლორენი გამოჩნდა და თან თავისი ახალი ფილმი Between Strangers წარმოადგინა.

67 წლის ლორენი იტალიაში ორ, ხშირ შემთხვევაში, ურთიერთგამომრიცხავ სტატუსს ფლობს – ყველაზე საყვარელი დედა და უბერებელი სექს-სიმბოლო. თუმცა, რაც არ უნდა პარადოქსული იყოს, ის ბუნებრივად ახერხებს ორივე სტატუსის შეთავსებას – ლორენი დღესაც მშვენივრად გამოიყურება და თან მოსიყვარულე დედა რომ არის, ამას საზოგადოებაშიც ხშირად უსვამს ხაზს. პარასკევსაც, ღონისძიებაზე სოფი ლორენი რეჟისორი ვაჟის, ედუარდო პონტის მიმართ დედურ მზრუნველობას არ იშურებდა. "გადაღებების დროს ყველაზე ძნელი გადასატანი იყო ჩემი შვილისგან ფრაზის - "გადაღება დაიწყო" - მოსმენა. ხომ გესმით, უცნაური გრძნობა მეუფლებოდა, საკუთარი შვილი მასწავლიდა, როგორ შეიძლებოდა, სცენის უკეთ გადაღება. ის ძალიან კარგი რეჟისორია", - აღნიშნა ლორენმა ჟურნალისტებთან ინტერვიუში. მის ამ აშკარად "დედურ" შენიშვნებს რეჟისორი პონტი გამოეხმაურა: "დედაჩემი ყოველთვის დედად რჩება", - აღნიშნა შვილმა.

ფილმი Between Strangers, რომლის სცენარიც ლორენის ვაჟმა თავად დაწერა, ფესტივალზე კონკურსს გარეშე არის წარდგენილი. პონტი მოგვითხრობს სამი ქალის ისტორიას. ლორენი ასრულებს გაწბილებული მხატვრის როლს, რომელსაც ქმართან არეული ურთიერთობები აქვს. მას ტანჯავს იმის გახსენება, რომ ახალგაზრდობაში საკუთარი ბავშვი გააშვილა. "ვცდილობდი, ფილმში დედაჩემი ისე აღმეწერა, როგორსაც ვხედავდი. მე არ ვიცნობ მას, როგორც კინოვარსკვლავს, მე ვიცნობ მას, როგორც ქალს, რომელიც დილაობით სკოლაში წასასვლელად მაღვიძებდა", - ასე დაახასიათა პონტიმ თავისი ფილმის მიზანი. სოფი ლორენს პარტნიორობას ფილმში ჟერარ დეპარდიე, კლაუს მარია ბრანდაუერი, მირა სორვინო და დებორა კარა ანგერი უწევენ.

იმავე დღეს, ფესტივალზე სტივენ სოდერბერგის Full Frontal და შვედი რეჟისორის, ლუკას მოდისონის ბრწყინვალე ნამუშევარი Lilja 4-Ever აჩვენეს (ეს უკანასკნელი ყოფილი საბჭოთა კავშირიდან შვედეთში გაქცეული 16 წლის გოგონას ისტორიას მოგვითხრობს). წარმოდგენილი იყო პიტერ მულანის ირლანდიური ნამუშევარიც The Magdalene Sisters. გუშინ, ღონისძიების მესამე დღეს, მაყურებლის წინაშე წარსდგნენ ტომ ჰენკსი და სემ მენდესი ფილმით Road to Perdition და რეჟისორი ტონი მარშალი ფილმით Au plus pres du paradis. მასში მთავარ როლს კატრინ დენევი ასრულებს. ამ დაძაბულ კინოგრაფიკში არც პაპარაცები რჩებიან უსაქმოდ. მათ მოწყენის საშუალებას ვენეციაში მაყურებლის როლში ჩასული გვინეტ პელტროუ და ნაომი კემბელი არ აძლევენ. ფესტივალი 8 სექტემბერს იხურება. "ოქროს ლომის" მფლობელსაც, სხვა გამარჯვებულებთან ერთად, ამ დღეს გამოავლენენ.

პარალელურად, საფესტივალო განწყობა სუფევს საფრანგეთშიც, კერძოდ კი, დოვილში. კინოსადმი მიძღვნილი ღონისძიება პარასკევს გაიხსნა და რვაში იხურება. მისი მთავარი მიზანი ევროპაში ახალი ამერიკული ფილმების პროპაგანდაა. შესაბამისად, საფრანგეთში გასამგზავრებლად ჰოლივუდის მთელი ვარსკვლავეთი ემზადება, ტომ ჰენკსის, ჰარისონ ფორდის, გვინეტ პელტროუსა და მეტ დეიმონის ჩათვლით. მათ თავიანთი ახალი ნამუშევრები დოვილში პირადად ჩააქვთ.

თუმცა, საფესტივალო განწყობა არც ამით დასრულდება. უკვე მეორე წელია, 18-22 სექტემბერს მაროკოში მარაქეშის კინოფესტივალი ტარდება. ღონისძიებას საპატიო სტუმრის სტატუსით რეჟისორები დევიდ ლინჩი, ფრენსის ფორდ კოპოლა და მარტინ სკორსეზე დაესწრებიან. ჟიურის ჟანა მორო უხელმძღვანელებს. წინასწარვე ცნობილია ერთ-ერთი გამარჯვებულის ვინაობა. ეს სკორსეზეა, რომელმაც თავისი ბოლო ორი ფილმი Kundun და The Last Temptation of Christ ნაწილობრივ მაროკოში გადაიღო. მას ქვეყნის უმაღლეს ჯილდოს მეფე მუჰამედ მეექვსე გადასცემს.

საინტერესოა, რომ მარაქეშის ფესტივალი პირველად შარშან გაიმართა, თუმცა, ძალიან უღიმღამოდ – ღონისძიებას ხელი შეუშალა 11 სექტემბერის მოვლენებმა. მაშინ, ტერაქტების გამო, მაროკოში არც ერთი ამერიკელი სტუმარი არ ჩავიდა. მეტიც, მარაქეში არც ფესტივალის ჟიურის თავმჯდომარემ სოფი მარსომ დააფასა. მაროკოელებს იმედი აქვთ, რომ მათი ახალგაზრდა ფესტივალი თავის სიტყვას წელს მაინც იტყვის, დაბერებულ ბიენალეს გაუთანაბრდება და ტრადიციული ღონისძიების სახეს მიიღებს.

ფეხბურთი

კვლავ ჩეხური ბარიერი

არჩილ კალანდია

როგორც ცნობილია, შვეიცარიაში ჩატარებულმა უეფა-ს თასის კენჭისყრამ ჩვენი ქვეყნის ათგზის ჩემპიონს, თბილისის "დინამოს" მეტოქედ ჩეხური "სლოვენი" არგუნა, რაზეც გუნდის ტექნიკურმა დირექტორმა გივი ნოდიამ და კაპიტანმა გიორგი შაშიაშვილმა შემდეგი კომენტარი გააკეთეს:

"არასასურველი მეტოქე შეგვხვდა, ჩეხური ფეხბურთი მკაცრი სათამაშო დისციპლინით გამოირჩევა. ამ მხრივ მას გერმანულ ფეხბურთს შევადარებდი. თავად "სლოვენის" შესახებ არ ვფლობთ ამომწურავ ინფორმაციას, მაგრამ ამ გუნდის ამავე ტურნირზე შარშანდელი გამოსვლა მათ სიძლიერეზე მიუთითებს. ჩეხებმა მაშინ ისეთი სახელოვანი გუნდები გამოაგდეს, როგორებიც არიან, "სელტა", "ლიონი", "მალიორკა", – გვითხრა გივი ნოდიამ.

"წილისყრამ სერიოზული მოწინააღმდეგე გვარგუნა, მაგრამ ამ ეტაპზე სუსტი გუნდები არ არიან. გუნდი საბრძოლოდაა განწყობილი და ყველაფერს ვიღონებთ ჩეხური ბარიერის დასაძლევად", - იმედს არ კარგავს გიორგი შაშიაშვილი.

„ხელები შორს კლოზესგან!"

ნინო პირველი

მუნდიალის დაწყებამდე მას გერმანიის გარდა არავინ იცნობდა. ბუნდესლიგაში დიდ ფეხბურთელად ნამდვილად არ ითვლებოდა და ყველა გაოცდა, როცა ეროვნული ნაკრების თავკაცმა, რუდი ფიოლერმა ის აზიაში წამსვლელთა სიაში შეიყვანა.

მუნდიალზე გატანილმა ხუთმა გოლმა ყველაფერი შეცვალა - მიროსლავ კლოზე ცნობილი გახდა. მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ მასზე მთელი ევროპა ნადირობდა. ვის არ სურდა აზიური მუნდიალის ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირის შეძენა, იქნებოდა ეს იტალიის ჩემპიონი "იუვენტუსი" თუ ვიცე-ჩემპიონი "რომა". მისი ხელში ჩაგდება ყველაზე მეტად ფაბიო კაპელოს "რომას" უნდოდა, რომელიც მზად იყო, კლოზეს გამო არგენტინელ გაბრიელ ომარ ბატისტუტასაც კი შელეოდა, მაგრამ სატრანსფერო სეზონი მთავრდება, მიოსლავ კლოზე კი, ჯერ-ჯერობით, ისევ კრიზისში მყოფ "კაიზერსლაუტერნში" თამაშობს და როგორც გერმანული სპორტული პრესა ამტკიცებს, უახლოეს მომავალში "კაიზერიდან" არც წავა.

საინტერესოა, მაინც რატომ? ვისთვის იქნება ცუდი, თუ პოლონური წარმოშობის ფორვარდი თავის კარიერას იტალიაში გააგრძელებს? "ქაოსლაუტერნად" ქცეულ "კაიზერში" ხომ მას თავის გამოჩენის ისეთი შესაძლებლობა არ ექნება, როგორიც "იუვენტუსში" ან "რომაში"? რა უშლის ხელს კლოზეს გაიტალიელებას? როგორც გერმანული "ბილდი" ამტკიცებს, ასეთი ხელისშემშლელი ფაქტორი არსებობს და ეს მიუნხენის "ბაიერნია"...

ბავარიული კლუბის მენეჯერი ული ჰაინესი უკვე აქედანვე ზრუნავს 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე, რომელიც გერმანიაში უნდა გაიმართოს და სურს, რომ მისი გუნდიდან რაც შეიძლება მეტი ფეხბურთელი მოხვდეს ეროვნულ ნაკრებში. ფრანც ბეკენბაუერი მიიჩნევს, რომ კლოზე გერმანიაში უნდა დარჩეს და ჩამოყალიბდეს დიდ ფეხბურთელად. ამ მიზნის მიღწევა კი მხოლოდ იმ შეთხვევაშია შესაძლებელი, თუ ახალგაზრდა ფორვარდი კრიზისში მყოფ "კაიზერსლაუტერნს" დატოვებს და ისეთ ტოპკლუბში გადავა, როგორიც მიუნჰენის "ბაიერნია", რომლის შეფები, უკვე დიდი ხანია, აღტაცებულნი არიან კლოზეს თამაშით. ოტმარ ჰიტცფელდი მას საოცრად ნიჭიერ ფეხბურთელად მიიჩნევს, კარლ ჰაინც რუმენიგე კი ფიქრობს, რომ კლოზემ ოდესმე აუცილებლად უნდა ითამაშოს "ბაიერნში". ოდესმე, მაგრამ როდის?

როგორც გერმანელი სპორტული ჟურნალისტები ვარაუდობენ, კლოზემ თავისი მომავალი უკვე დაუკავშირა მიუნჰენის "ბაიერნს" - 24 წლის ფორვარდმა, ჯერ კიდევ მუნდიალის დაწყებამდე, ხელი მოაწერა კონტრაქტს და მიუნჰენში 2003 წლის იანვრიდან გამოჩნდება. თუ კარგად დავაკვირდებით შექმნილ ვითარებას, შევამჩნევთ, რომ ამ ვერსიაში შეუძლებელი არაფერია. კლოზეს "კაიზერსლაუტერნთან" კონტრაქტი 2005 წლამდე აქვს გაფორმებული და ვადაზე ადრე, კლუბიდან წასვლის შემთხვევაში გამოსასყიდი 4 მილიონ ევროს შეადგენს, რაც "ბაიერნისთვის" მიუწვდომელი თანხა სულაც არ არის. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ "კაიზერსლაუტერნს" ფინანსურად ძალიან უჭირს, რადგან გუნდის შენახვა ძვირი უჯდება, ინტერნაციონალურ არენაზე არ ასპარეზობს და დიდი შემოსავალი არ აქვს, ამას გარდა სტადიონის რემონტს ატარებს და ფული სჭირდება, ადვილი შესაძლებელია, რომ კლოზე კლუბიდან გაუშვან. "კაიზერი", ალბათ, მალე გაყიდის თავის ერთადერთ განძს, "ბაიერნი" კი ყველაზე სასურველი მყიდველია.

რაკი "ბაიერნი" ახალგაზრდა ფორვარდის შეძენით დაინტერესდა, ეს იმას ნიშნავს, რომ კლოზე 2006 წლამდე მაინც გერმანიაში დარჩება და სერია A–ს მატჩებს მხოლოდ ტელევიზორში ნახავს. არც კლოზეა მიუნჰენში გადასვლის წინააღმდეგი. მას რამდენჯერ უთქვამს, რომ ნაკრებში ძალიან მოეწონა მიხაელ ბალაკთან ერთად თამაში, რომელიც შესანიშნავი პასებით ამარაგებდა. ლევერკუზენის "ბაიერის" ექსლიდერი, მიხაელ ბალაკი უკვე მიუნჰენის "ბაიერნის" რიგებშია. ახლა კლოზეს რიგია, რაც უფრო მალე შეუერთდება ბალაკს და კომპანიას, მით უფრო ძლიერი და ანგარიშგასაწევი გუნდი გახდება მიუნჰენის "ბაიერნი".

„იუვეს" ახალი შენაძენი

იტალიის ჩემპიონის, ტურინის "იუვენტუსის" მენეჯერმა ლუჩანო მოჯიმ ჯერ კიდევ ივლისის ბოლოს განაცხადა,"ბებერმა სინიორამ" სატრანსფერო ბაზარი დახურა და არავის შეძენას აღარ აპირებსო, მაგრამ მოხდა ისე, რომ "იუვეს" მაინც დასჭირდა ახალი ფეხბურთელის დამატება. საქმე ისაა, რომ ტურინელთა ფრანგმა ფორვარდმა დავიდ ტრეზეგემ მძიმე ტრავმა მიიღო და მოედანზე, სულ ცოტა, სამი თვე მაინც ვეღარ გავა. "იუვემ" არ მოისურვა, შარშანდელივით, მხოლოდ ორი თავდამსხმელით თამაში და ყოველი შემთხვევისათვის, "პარმადან" 26 წლის ფორვარდი მარკო დი ვაიო იყიდა. ამ ფეხბურთელის შეძენა "ბებერ სინიორას" 26 მილიონი ევრო დაუჯდა. აღსანიშნავია, რომ ტურინელებმა დი ვაიო ცხვირწინ აიცალეს მილანის "ინტერს", რომელსაც ასევე სურდა პარმელი ფორვარდის დასაკუთრება.

ახალი სახე „სან-სიროზე"

როგორც იქნა, დასრულდა ის სამთვიანი "აბრაკადაბრა," რომელიც ალესანდრო ნესტას ტრანსფერთან დაკავშირებით იყო შექმნილი. განდიდების მანიით შეპყრობილმა "მილანმა" იონ დალ ტომასონსა და რივალდოს ნესტაც დაამატა და მართლაც შესანიშნავ შემადგენლობას მოუყარა თავი. ნესტას მილანურმა კლუბმა 2007 წლამდე გაუფორმა კონტრაქტი, ჯერ-ჯერობით უცნობია, თუ რამდენი იქნება იტალიის საუკეთესო მცველის გასამრჯელო. "ლაციოს" პრეზიდენტი სერჯო კრანიოტი დიდხანს ჭირვეულობდა და ჯიუტად ებღაუჭებოდა რომაული პუბლიკის ნებიერას, მაგრამ, ფინანსური კრიზისის გამო, კრანიოტის ნესტას დათმობა მოუწია. მილანელებმა "ლაციოს" კაპიტანი 35 მილიონ ევროდ შეიძინეს და შეიძლება ითქვას, რომ სასტიკად გააღიზიანეს "ბიძაშვილი" "ინტერი", რომელიც, მაისიდან მოყოლებული, ამაოდ ცდილობდა ნესტას ხელში ჩაგდებას.

ჩილავერტის პროტესტი

უცნაურობებით გამორჩეული პარაგვაელი მეკარე ხოსე ლუის ჩილავერტი კვლავ ჭირვეულობს. 37 წლის სამხრეთამერიკელი უარს ამბობს ფრანგულ "სტრასბურგში" თამაშზე. ჩილავერტი გაბრაზებულია ადგილობრივ პუბლიკაზე, რომელიც გამუდმებით აკრიტიკებდა არადამაჯერებელი თამაშისა და ზედმეტი წონის გამო. ფრანგებმა პარაგვაელ გოლკიპერს ისე მოაბეზრეს თავი, რომ ეს უკანასკნელი, დიდი ხნის განმავლობაში, გასახდომი თერაპიის კურსებზე დადიოდა.

ჩილავერტი აცხადებს, რომ შაბათს არ ითამაშებს "სტრასბურგის" რიგებში "ლილის" წინააღმდეგ. ჯერ-ჯერობით ცნობილი არ არის, თუ რას გადაწყვეტს კლუბის ხელმძღვანელობა.

შუკერი მიდის

საფრანგეთის მუნდიალის საუკეთესო ბომბარდირმა დავორ შუკერმა ერთ-ერთი ხორვატული გაზეთისათვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ მან ეროვნული ნაკრებიდან წასვლა გადაწყვიტა.

"მუნდიალზე ნათამაშევი მატჩი მექსიკასთან ჩემი უკანასკნელი შეხვედრა იყო ეროვნული ნაკრების მაისურით. არ მინდოდა, ასე უბრალოდ დავმშვიდობებოდი გულშემატკივრებს, მაგრამ არავინ მოისურვა ჩემი მხარდაჭერა და გამოსამშვიდობებელი მატჩის გამართვა. ყველა ქვეყანაში დამსახურებულ ფეხბურთელს გამოსათხოვარი მატჩით აცილებენ, ხორვატიაში კი ამაზე არავინ ზრუნავს," - დაიჩივლა შუკერმა, რომელმაც თანაგუნდელებს დიდი წარმატებები უსურვა ევრო-2004-ზე.

ჭიდაობა

თეირანი - 36

მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლები პასუხისმგებლობას იხსნიან

გიგა გურასაშვილი

რამდენიმე დღეც და სტარტს აიღებს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა მსოფლიოს 36-ე ჩემპიონატი. უმთავრეს ასპარეზობას თეირანი უმასპინძლებს. მსოფლიოს ჩემპიონატის ხალიჩაზე ქართველი ფალავნებიც იპაექრებენ.

აღსანიშნავია, რომ ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციამ (ფილა) საჩემპიონატო ფორმატი შეცვალა. თუ აქამდე ასპარეზობები რვა წონით კატეგორიაში იმართებოდა, ახლა ორთაბრძოლებს შვიდ წონაში ვიხილავთ. იძულებით ცვლილებათა თავი და თავი საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტია. მოგეხსენებათ, დღეს ოლიმპიადებზე მონაწილე ქალ სპორტსმენთა კაცებთან გათანაბრების ტენდენციაა. ამიტომაც, თავისუფალი სტილით მოჭიდავეებს, ისევე როგორც "ბერძენ-რომაელებს", თითო-თითო წონა დააკლეს და მათ ნაცვლად ქალ მოჭიდავეებს გაუღეს კარი. ახალი ფორმატით კი თეირანში, დაახლოებით, 60-მდე ქვეყნის უძლიერესი ფალავნები იასპარეზებენ. მათ შორის, ჩემპიონატის უდავო ფავორიტები, რა თქმა უნდა, მასპინძლები არიან. ირანელებს ჭიდაობაში დიდი ტრადიციები აქვთ. ასე რომ, აქედანვე შეგვიძლია ჩავთვალოთ, არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში პირველობას მასპინძლები მოიპოვებენ. მით უმეტეს, მათ 15 ათასამდე გულშემატკივარი ეყოლებათ. საქმე ისაა, რომ დარბაზი, სადაც პაექრობები გაიმართება, სწორედ ამდენ მაყურებელს იტევს. ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომ დარბაზი შეუვსებელი დარჩენილიყო. ერთადერთი, ვინც მათ კონკურენციას გაუწევს, რუსეთის ნაკრებია. პირველი-მეორე ადგილებისთვის, ალბათ, ეს უკანასკნელნი იბრძოლებენ. სამეულში მოსახვედრად იბრძოლებს თურქეთიც. თეირანში ჩასვლაზე, უსაფრთხოების მოტივით, უარი განაცხადეს ამერიკელებმა. აშშ-ის ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტის, სტან ჯიჯიჩის განცხადებით, ქვეყანაში, სადაც არასტაბილური მდგომარეობა და ანტიამერიკული განწყობაა, მას არა აქვს უფლება საკუთარი თანამემამულეები საფრთხის წინაშე დააყენოს. ესეც რომ არა, ამერიკის მთავრობამ მოჭიდავეებს აცნობა მათზე თავდასხმის შესაძლებლობის შესახებ. გარდა ამისა, მასპინძლებმაც ყველანაირი პასუხისმგებლობა მოიხსნეს არა მარტო ამერიკელთა უსაფრთხოებაზე, არამედ ჩემპიონატის სხვა მონაწილეებზეც. ნუგეშიც ამას ჰქვია.

ომზარ შოშიტაიშვილი

"მსურს, გამოვხატო ჩემი ღრმა პატივისცემა იმ ამერიკელი მოჭიდავეების მიმართ, რომლებმაც მსოფლიო ჩემპიონატისთვის მოსამზადებელ პერიოდში ყველაფერი გაიღეს. ვწუხვართ, რომ ასეთი გადაწყვეტილება მივიღეთ,"- განაცხადა ჯიჯიჩმა.

სხვათა შორის, აშშ-ის ჭიდაობის ფედერაციამ თხოვნით მიმართა ფილა-ს 5-7 სექტემბერს გასამართი ჩემპიონატის თეირანიდან სხვაგან გადატანაზე, მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა. ისე, მსოფლიო ჩემპიონატებისთვის ასეთი რამ უცხო არაა. შარშან, როდესაც "ბერძენ-რომაელთა" და "თავისუფალთა" უმთავრესი ასპარეზობებისთვის ნიუ- იორკს უნდა ემასპინძლა, ცნობილი სექტემბრის მოვლენების შემდეგ, ბევრმა მუსულმანურმა სახელმწიფომ, მათ შორის, ირანმაც ამერიკაში გამგზავრებაზე უარი განაცხადა. მართალია, ტერაქტების შემდეგ ოკეანის გაღმა მსოფლიო ჩემპიონატისთვის აღარავის ეცალა, მაგრამ, ფაქტია, შიშმა თავისი როლი შეასრულა. შედეგად, "ბერძენ-რომაელები" და თავისუფალი სტილით მოჭიდავეები დაიქსაქსნენ. პირველს - პატრამ (საბერძნეთი), ხოლო მეორეს სოფიამ (ბულგარეთი) უმასპინძლა.

რაც შეეხება საქართველოს ნაკრებს, თეირანში იასპარეზებენ: ბესიკ გოჩაშვილი (55კგ), დავით პოღოსიანი (60), ოთარ თუშიშვილი (66), გურამ მჭედლიძე (74), რევაზ მინდორაშვილი (84), ელდარ კურტანიძე (96) და დავით ოთიაშვილი (მძიმე). ქართველმა ფალავნებმა მსოფლიო ჩემპიონატისთვის ორი შეკრება გაიარეს. საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის გენერალური მდივნის, ომზარ შოშიტაიშვილის თქმით, გუნდი ურიგოდ არ გამოიყურება. რეალურად კი ორი მედლისთვის ვიბრძოლებთ. ისე კი, თუ ოფიციალურ შეხვედრებში ქართველ ფალავანთა მონაგარს გადავავლებთ თვალს, დავინახავთ, რომ ნლევანდელი სეზონი გაცილებით უხვმოსავლიანი გამოდგა ქართული ჭიდაო სკოლისთვის. თუ შარშან ჭაბუკებმა, ახალგაზრდებმა და დიდებმა 21 მედალი მოიპოვეს, ნლეულს უკვე 26 მედალი გვაქვს. ამასთან, წინ ორი მსოფლიო ჩემპიონატია - "თავისუფლების" და "ბერძენ-რომაელთა", რომლებსაც თვის ბოლოს მოსკოვი უმასპინძლებს. ასე რომ, მედლების ყულაბა, ნესით, კიდევ უნდა შეივსოს. აქვე იმასაც მოგახსენებთ, რომ ჭიდაობის მმართველმა ორგანომ, ორი დღის წინ, ჭიდაობის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის, საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი, გოჩა ძასოხოვი ფილა-ს საპატიო სიგელით დააჯილდოვა.

ბოგბურთი

US OPEN: უხეშს ჭკუა ასწავლეს

ნიუ-იორკი. ამერიკის ღია ჩემპიონატი. ვაჟები. ჰარდი. საპრიზო ფონდი 4 774 000 დოლარი. შარშანდელი ჩემპიონი ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია). მეორე წრე.

ალექს კორეჩა (ესპანეთი, 18) – ივო ობერჟე (შვეიცარია) 7:5, 6:2, 6:1

არნო კლემანი (საფრანგეთი) – სებასტიან გროსჟანი (საფრანგეთი, 10) 6:3, 3:6, 4:6, 6:2, 6:4

გრეგ რუსედსკი (დიდი ბრიტანეთი, 33) – პარადორნ სრიშაფანი (ტაილანდი) 3:6, 7:6 (7:2), 7:6 (7:5), 6:7 (3:7), 6:4

გუსტავო კუერტენი (ბრაზილია) – მარატ საფინი (რუსეთი, 2) 6:4, 6:4, 7:5

გილიერმო კორია (არგენტინა) – ჟან-რენე ლისნარი (საფრანგეთი) 6:1, 6:3, 6:4

სიენგ შალკენი (ჰოლანდია, 24) – ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია) 6:3, 6:3, 6:4

ტომი ჰაასი (გერმანია, 3) – კაროლ კუჩერა (სლოვაკეთი) 6:1, 6:4, 6:4

ფერნანდო გონსალესი (ჩილე, 28) – კენეტ კარლსენი (დანია) 7:6 (7:5), 6:4, 7:6 (7:3)

პიტ სამპრასი (აშშ, 17) – კრისტიან პლესი (დანია) 6:3, 7:5, 6:4

ქსავიე მალისი (ბელგია, 19) – ვინსენტ სპეიდია (აშშ) 6:4, 4:6, 6:2, 6:2

ხუან იგნასიო ჩელა (არგენტინა, 26) – მიშელ ლოდრა (საფრანგეთი) 7:6 (9:7), 6:3, 6:2

ნიკოლას მასუ (ჩილე) – იურგენ მელცერი (ავსტრია) 6:4, 7:6 (7:3), 4:6, 6:0

ენდი როდიკი (აშშ, 11) – რამონ სლიუიტერი (ჰოლანდია) 6:2, 6:4, 6:4

სარქის სარქსიანი (სომხეთი) – ალექსანდრ პოპი (გერმანია) 2:6, 6:3, 6:4, 6:7 (5:7), 6:4

ტიმ ჰენმანი (დიდი ბრიტანეთი, 5) – დიკ ნორმანი (ბელგია) 6:3, 6:4, 7:5

მარატ საფინი

ტომას ენკვისტი (შვედეთი, 29) – ალბერტო მარტინი (ესპანეთი) 6:1, 7:6 (7:3), 6:0

რამონ დელგადო (პარაგვაი) – ხარელ ლევი (ისრაელი) 4:6, 6:3, 7:6 (7:4), 7:6 (7:3)

ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი, 7) – გასტონ ეტლისი (არგენტინა) 6:2, 5:7, 6:0, 7:5

ქალები. შარშანდელი ჩემპიონი ვინუს უილიამსი (აშშ). მესამე წრე.

სილვია ფარინა-ელია (იტალია, 13) – სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) 6:2, 6:3

ჟიუსტინ ენინი (ბელგია, 8) – ბეა ბილეკი (აშშ) 7:5, 6:1

დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი, 11) – ივა მაიოლი (ხორვატია, 24) 6:3, 6:1

დაია ბედანოვა (ჩეხეთი, 20) – ანასტასია მისკინა (რუსეთი, 15) 6:3, 3:6, 6:2

ლინდსეი დევენპორტი (აშშ, 4) – მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი) 6:3, 6:1

სერენა უილიამსი (აშშ, 1) – ნატალი დეში (საფრანგეთი, 26) 6:1, 6:1

ელენა ბოვინა (რუსეთი) – სტეფანი ფორეცი (საფრანგეთი) 6:2, 5:7, 7:5

ფრანჩესკა სკიავონე (იტალია) – ტატიანა პანოვა (რუსეთი, 22) 3:6, 6:4, 6:3

ამერიკის ღია ჩემპიონატს მეორე ნომრად განთესილი მარატ საფინი გამოაკლდა. უხეშ საფინს, როგორც მას ამერიკელი გულშემატკივრები უწოდებენ, ჭკუა ასწავლეს. ბრაზილიელმა გუსტავო კუერტენმა დიდგულა რუსს სამ სეტში მოუღო ბოლო. ეს მოსალოდნელიც იყო. კუერტენი ამჟამად კარგ სპორტულ ფორმაშია. მარატ საფინს კი მედიდურობის სენი დაეუფლა და ძირითადად იმით იყო დაკავებული, რომ ავტოგრაფის მსურველ ქომაგებს ზანტად ემსახურებოდა ან სულაც უარით ისტუმრებდა.

ამიტომაც შეარქვეს მას "უხეში".

ამერიკულმა გაზეთმა "ნიუ-იორკ პოსტმა" ჩოგბურთის მოყვარულთა საინტერესო გამოკითხვა ჩაატარა. ერთადერთი მიზნით, გამოერკვიათ ყველაზე კომუნიკაბელური და ყველაზე უხეში ჩოგბურთელი. აღმოჩნდა, რომ ურთიერთობის ყველაზე დიდი მოტრფიალე ანდრე აგასი ყოფილა. ჩოგბურთის მოყვარულები ერთხმად აღიარებენ, რომ აგასი ავტოგრაფის მსურველებს ზურგს არასოდეს შეაქცევს და თაყვანისმცემლებთან ყოველთვის თავაზიანად იქცევა.

მაიკლ ჩანგს, თურმე, უცნაური ახირება ახასიათებს. თავისი გვარის ნაცვლად, იგი რაღაც წინადადებებს წერს. მაგალითად, "ღმერთშია ჩვენი სიყვარული". გულშემატკივრები სერენა უილიამსსაც გულთბილად მოიხსენიებენ. აი, ვინუსი კი უხეშთა სიაში აღმოჩნდა. მას, თურმე, ეზარება და აღიზიანებს ავტოგრაფების გაუთავებლად გაცემა. სწორედ ამ სიაში აღმოჩნდნენ რუსებიც: მარატ საფინი და ანა კურნიკოვა. ჩოგბურთის ამერიკელ მოყვარულებს, თურმე, არც ცხვირაბზეკილი სექს-ბომბა და მისი ტიტულოვანი თანამემამულე მარატ საფინი მოსწონთ. ამიტომ მისი დამარცხებით დიდად არავის მოუწყენია და არცკი გახსენებიათ, რომ ტურნირს მისი მეორე ნომერი გამოეთიშა.

ქალათბურთი

სლავური სენსაცია

ინდიანაპოლისი. მსოფლიო ჩემპიონატი

A ჯგუფი
ესპანეთი – იუგოსლავია 71:69
ანგოლა – კანადა 84:74

B ჯგუფი
ბრაზილია – თურქეთი 88:86
პუერტო რიკო – ლიბანი 99:77

C ჯგუფი
აშშ – გერმანია 104:87
ალჟირი – ჩინეთი 82:96

D ჯგუფი
რუსეთი – არგენტინა 81:100
ახალი ზელანდია–ვენესუელა 98:85

არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ამერიკის ნაკრების შემდეგ მსოფლიო ჩემპიონატის მოგების ყველაზე დიდი შანსი იუგოსლავიის ნაკრებს ჰქონდა. დიახ ჰქონდა, რადგან ესპანელებთან გუშინდელი მარცხის შემდეგ გულშემატკივართა და სპეციალისტთა უმეტესობა ამერიკელთა შემდგომ იუგებს აღარ მიიჩნევს გამარჯვების უპირველეს კანდიდატებად.

არგენტინა იმარჯვებს
REUTERS

"სიმართლე გითხრათ, დიდად არ გამკვირვებია ესპანელთა წარმატება. გუნდი, დიდი ხანია, ჩინებულ თამაშს აჩვენებს და კალათბურთელებიც ერთმანეთთან მშვენივრად არიან შეთამაშებულნი. ამას გაზოლის კარგი თამაშიც დაუმატეთ და იუგოსლაველთა მარცხიც სიურპრიზად აღარ მოგეჩვენებათ", - ასე შეაფასა იუგოსლავიის ნაკრების მარცხი თურქეთის ნაკრების წამყვანმა მოთამაშემ მირსად თურქჯანმა. "ამით არაფერი მომხდარა. ყველასთვის ცნობილია იუგოსლავიის ნაკრების სიძლიერე. ასე რომ, ერთი მარცხით მათი ჩამოწერა არ ივარგებს. არავის გაუკვირდეს, თუ ეს გუნდი მსოფლიო ჩემპიონი გახდა. ვფიქრობ, მათ ამერიკელების დამარცხებაც ძალუძთ", - ეს უკვე რუსეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელის, სტანისლავ ერიომინის სიტყვებია. აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, იუგოსლავიის ნაკრები ერთ-ერთ ფავორიტად მაინც რჩება. რაც შეეხება თურქეთსა და რუსეთს. ფავორიტად არც ერთი მათგანი არ ითვლებოდა, მაგრამ არც იმას მოელოდნენ, რომ საწყის ორ მატჩს წააგებდნენ და შემდგომ ეტაპზე გასვლას გაირთულებდნენ. გუნდების მთავარ მწვრთნელებს შეგირდების სუსტი თამაშის მიზეზი ჯერაც ვერ დაუდგენიათ. "ჩვენს გუნდს შეუძლია თვით "დრიმ თიმი" დაამარცხოს, მაგრამ ამასთანავე წააგოს შედარებით სუსტ მეტოქესთან. სამწუხაროდ, ვერაფრით ამიხსნია ამის მიზეზი", - წუხს ერიომინი. ახლა რუსებისთვის, ჯგუფიდან გასასვლელად, ერთადერთი შანსია, ვენესუელის ნაკრების დამარცხება. რაც შეეხება დანარჩენ შეხვედრებს, ყველა ფავორიტმა იმარჯვა და შემდგომ ეტაპზე გასვლაც გაინაღდა.

ციურიხის მუზეუმში განძს ეძებენ

ციურიხის "ხელმხაუს" მუზეუმში გაიხსნა უცნაური გამოფენა, რომელსაც "კაპიტალური საქმე" ჰქვია. გამოფენის ავტორები შვეიცარელი მხატვრები კრისტოფ ბუშელი და ჯანი მოტი არიან. ისინი თანამედროვე ხელოვნების ღირებულების გარკვევით არიან დაკავებულები და ამჯერად ციურიხის მუზეუმში პროვოკაციული და გონებამახვილური პროექტი წარმოადგინეს - მასში მონაწილეობა მაყურებლებსაც შეუძლიათ. მუზეუმის დარბაზები აბსოლუტურად ცარიელია. მხატვრებმა, ნოტარიუსის თანდასწრებით, საგამოფენო სივრცის რომელიღაც კუნჭულში 50 ათასი შვეიცარული ფრანკი გადამალეს. ავტორთა კონცეფციის მიხედვით, დამთვალიერებელი, რომელიც ფულს იპოვის, მაშინვე მისი მფლობელი გახდება.

ვარსკვლავთა გოლფი

მონტე კარლოში გოლფის ტურნირი იმართება, რომლის მონაწილეებიც 11 სექტემბრის მემორიალისათვის აგროვებენ თანხას. თამაშობენ ბორის ბეკერი, კევინ კოსტნერი, ლარს არმსტრონგი და სხვები. ტურნირზე საპატიო სტუმარი, მონაკოს პრინცი ალბერტიც გამოცხადდება.

მიღებული თანხით ნიუ იორკში დარგავენ 2819 ხეს. ყოველ ხეს 11 სექტემბრის ტერორისტული აქტის მსხვერპლის სახელი ერქმევა.

ქორწილის უკვდავსაყოფად

ნიუ იორკელთა ფოტოალბომებში ვეღარ ნახავთ დაძაბულად მოღიმარი ნეფე-პატარძლის უსიცოცხლო პორტრეტებს. სახელოვანი ფოტოგრაფები, ამის სანაცვლოდ, დოკუმენტურ კადრებს სთავაზობენ მექორწილეებს: სცენებს, სადაც ნეფე ახალ კოსტუმს იცვამს ან პატარძალი საპარიკმახეროში ნერვიულობს. ფოტოგრაფი არც მთვრალ სტუმრებს ინდობს, თუმცა მისი არსებობა ფაქტიურად არ იგრძნობა, ის ხელს არავის უშლის. შედეგად, ის ქორწილის სრულ დოკუმენტაციას აბარებს დამკვეთს. თავისთავად საინტერესოა და სახალისო, უბრალოდ, ცოტა ძვირადღირებული სიამოვნებაა: ასეთი ოსტატის მომსახურება 23.000 ამერიკულ დოლარამდე ჯდება.

ლას-ვეგასი კულტურისკენ მიილტვის

ლას-ვეგასის გუგენჰეიმ-ერმიტაჟის მუზეუმში გრანდიოზული გამოფენა "ტიციანიდან პიკასომდე" გაიხსნა. სათამაშო ბიზნესის დედაქალაქმა პირველად იხილა ძველი ოსტატების შედევრები. რამდენიმე დღეში სასტუმრო "ბელაჯიოს" გალერეაში კი გაიხსნება გამოფენა "ფაბერჟე. კრემლის საგანძური". აქ ნიკოლოზ მეორის სააღდგომო კვერცხებს გამოფენენ.

ერთი წლის წინ ლას-ვეგასში გუგენჰეიმ-ერმიტაჟის გახსნას ბევრი სკეპტიკურად და ირონიულად უყურებდა, იმ მოტივით, რომ კაზინოს სამყაროს დიდი ხელოვნება არ სჭირდებოდა. მაგრამ ძველი სათამაშო ბიზნესის და ახალი სამუზეუმო მენეჯმენტის კავშირი საკმაოდ ნაყოფიერი და წარმატებული გამოდგა. ასე რომ, გართობის ქალაქი დამსვენებლებს სერიოზულ ხელოვნებასაც სთავაზობს, რაზეც მოთხოვნა სულ უფრო იზრდება.

ყოველთვის კინოფესტივალთან ერთად

ვენეციაში ქანდაკებისა და ინსტალაციის საერთაშორისო გამოფენა OPEN 2002 გაიხსნა. იგი ყოველ წელს, აგვისტო-სექტემბერში, ვენეცია-ლიდოს კინოფესტივალთან ერთად, იმართება ხოლმე და ყოველ წელს განსხვავებულ პროგრამას სთავაზობს მაყურებელს. წლევანდელ პროგრამაში, სახელწოდებით, "ქალთა წარმოსახვით" მსოფლიოს 40 ქვეყნის ქალები მონაწილეობენ. მათი ნამუშევრები ვენეციის მთავარ ქუჩებზე და მოედნებზე გამოიფინება. გამოფენის ორგანიზატორებს სურთ წარმოაჩინონ ქალის განსაკუთრებული როლი და მოვალეობა თანამედროვე, გლობალიზებული კულტურის პირობებში.

სექსი ვიტრინაში შიდსს დაამარცხებს

ბრიტანელმა მხატვარმა ლაიამ იეტსმა მოაწყო პერფორმანსი, რომელიც უსაფრთხო სექსსა და ხელოვნებაში თავისუფალ თვითგამოხატვას მიუძღვნა. 24 წლის კომერციული აგენტი მაქს უეტლი და 22 წლის ბავშვის მომვლელი მეგ ზაკრეტი ერთ კვირას სოჰოს გალერეის ვიტრინაში გაატარებენ. ახალგაზრდები ჩვეულებრივად იცხოვრებენ – დალევენ, შეჭამენ, დაიძინებენ... აქციის მონაწილეები კმაყოფილები არიან. თავად მხატვარი მომავალშიც აპირებს საკუთარი იდეების დემონსტრირებას. აღშფოთებულები კონსერვატორები არიან, ისინი აცხადებენ, რომ ეს ცუდი გემოვნების მაჩვენებელია. კულტურა მოწოდებული უნდა იყოს, მაღალი იდეალები მომავალ თაობებს გადასცეს.

ციხის გისოსებიდან დანახული სამყარო

20 სექტემბერს ლონდონში უჩვეულო გამოფენა გაიხსნება. დიდი ბრიტანეთის დედაქალაქის ცენტრალურ ნაწილში მდებარე გალერეა "ბელგრავიაში" ნელსონ მანდელას ნახატები გამოიფინება. ეს ის ნამუშევრებია, რომლებიც აფრიკელმა ლიდერმა ციხეში ყოფნის პერიოდში შექმნა. გალერეის ექსპოზიციის ნახევარი მანდელას შავ-თეთრ, ნახშირითა და ცარცით შესრულებულ ესკიზებს დაეთმობა. მანდელა მხატვრობით დიდი ხანი ყოფილა დაინტერესებული, მაგრამ პატიმრობის პერიოდში მას ამ საქმიანობისთვის, ბუნებრივია, დიდი დრო რჩებოდა. ციხეში გატარებულმა 26-მა წელმა (1964-დან 1990 წლამდე) მანდელას ნამუშევრებში ჰპოვა ასახვა. ასე შეიქმნა ციხის გისოსებიდან დანახული რობენის კუნძულის პეიზაჟები.

"იმედი მაქვს, რომ ეს გამოფენა ჩემს მიერ წამოწყებულ საქველმოქმედო საქმიანობას შეუწყობს ხელს. გამოფენა-გაყიდვიდან შემოსული თანხა სამხრეთ აფრიკის ობოლ და შიდსის ვირუსით დაავადებულ ბავშვთა ფონდს მოხმარდება," – ამბობს მანდელა. გალერეის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების წარმომადგენელი კი აცხადებს, რომ ამ ექსპოზიციას ურიცხვი მნახველი მოაწყდება. ლეგენდარული ნობელიანტი პოლიტიკოსის ნამუშევრებს ხომ ყოველდღე ვერ დაათვალიერებთ საგამოფენო დარბაზებში.

ნელსონ მანდელას ესკიზები აუქციონზე გაიყიდება. ექსპონატების ფასები 1700 გირვანქა სტერლინგიდან იწყება. ნახატებთან ერთად გალერეაში წარმოდგენილი იქნება ცნობილ მხატვართა (მათ შორის, პიკასოს) ლითოგრაფიული, ფოტო და პასტელით შესრულებული ნამუშევრები.

ნელსონ მანდელა

ვაინონა რაიდერი დამლაგებლად იმუშავებს

ჰოლივუდელი კინოვარსკვლავი ვაინონა რაიდერი სასამართლოს წინაშე წარდგება. მსახიობს მაღაზიიდან სხვადასხვა საგნების მოპარვას და ურეცეპტოდ ძლიერი ტკივილგამაყუჩებელი საშუალებების შენახვაში სდებენ ბრალს. ვაინონა რაიდერს, ციხის ნაცვლად, სასჯელად საზოგადოებრივი სამუშაოების იძულებითი შესრულება ემუქრება. თუმცა, ეს იმ შემთხვევაში თუკი იგი თავს დამნაშავედ ცნობს.

როგორც ვარაუდობენ, ვაინონა რაიდერის რვათვიანი სასამართლო პროცესი მშვიდობიანად დასრულდება. სარწმუნო წყაროების ინფორმაციით, ლოს-ანჯელესის უმაღლესი სასამართლოს პროკურორები და მსახიობის ადვოკატი მარკ გერაგოსი ორივე მხარისათვის მომგებიან შეთანხმებას დებენ. რაიდერი დანაშაულს აღიარებს და ამისათვის მას ციხის ნაცვლად საზოგადოებრივი სამუშაოების შესრულებას მიუსჯიან. ამ სიტუაციიდან ეს ერთ-ერთ საუკეთესო გამოსავალია.

ვაინონა რაიდერი შარშან 12 დეკემბერს დააპატიმრეს იმ დროს, როდესაც მან ერთ-ერთ ბუტიკში 4,760 დოლარის ტანსაცმელსა და აქსესუარებს სენსორული იარლიყები მოაჭრა და მოიპარა. ამის გარდა პოლიციელებმა მის ჩანთაში რეცეპტის გარეშე ძლიერმოქმედი ტკივილგამაყუჩებელი პრეპარატები - Oxycodone აღმოაჩინეს.

ჰოლივუდელ ვარსკვლავს ქურდობის, ვანდალიზმისა და საშიში საგნების უნებართვოდ შენახვის ბრალდება წაუყენეს.

ადვოკატის პირველადი ვერსიის მიხედვით, რაიდერი ასეთი ცხოვრების წესით ახალ როლს ითვისებდა. მართლაც სინამდვილეში, ფილმში Simone, რომელიც ეკრანებზე წლის ბოლოს გამოვა, მისი გმირი (ასევე მსახიობი) საკუთარ გარდერობს მოპარული ტანსაცმლით ამდიდრებს.

კალენდარი

„თუ სიყვარული პასუხია, მაშინ იქნებ კიდევ ერთხელ გამიმეოროთ შეკითხვა?" - ეს მახვილგონივრული ფრაზა ცნობილ ამერიკელ კომიკოს მსახიობს, ლილი ტომლინს ეკუთვნის და ამ ციტატას ხშირად იმეორებენ მსახიობზე საუბრის დროს. ლილი ტომლინი ფილმებში, ძირითადად მეორეხარისხოვან პერსონაჟებს თამაშობს, მაგრამ ისეთი დიდი ოსტატობით, რომ მის გვერდით ხშირად მთავარი გმირებიც კი მაყურებლის ყურადღების მიღმა რჩებიან. თავად მსახიობი საკუთარი თავისა და არტისტული მონაცემების შეფასებისას ერთობ თავმდაბალია და მუდამ ერთსა და იმავეს იმეორებს: "ყოველთვის მინდოდა, ვიღაც ვყოფილიყავი. ახლა ვხედავ, რომ უფრო მეტი კონკრეტიკა იყო საჭირო".

ლილი ტომლინი 1939 წლის 1 სექტემბერს დაიბადა.

ლილი ტომლინი

სკანდინავიური კროსვორდი



წინა სკანვორდის პასუხი

თარაზულად: საილო; პუშკაში; არმენ; ეზოპე; დიოპტრი; ამადუ; ატელიე; რუბლი; ურანი; ბურახი; ძინძლი; დერიუგინი; მონუმენტი; აბარები; პარი; არგო; მისანი; პოლვაზი; პიკასო; ეტრატი; ფლიდი; პრადო; ლიგია; მიტარგი; რაინი; იოტა; ფიალა; კლოდ; არმადა; სამართალი; სტინგი; რაველი; კიკა; ნესტი; ტულა; რტო; ბრეი.

ჰვეულად: კურიერი; ოპიზარი; ანანასი; ატმორი; აკუუნქტურა; ილუმინატორი; აგენტი; ეფერა; ბონდი; ვიზიტი; ინა; პალიტრა; ოსლო; დეტროიტი; საალნე; კიგო; არაკი; პრემიერა; ზავი; ოსკარი; მეკარე; ლენდ; ბუნგალო; გალასტი; ურუგვაი; ფაიფური; გო; ვოლანი; ბანდერასი; ზოდი; ლალი; ფიცი; გაზი.

TV პროგრამა 1 სექტემბერი

რუსთავი - 2

08.00 მუსიკა
09.00 კურიერი
09.15 მულტსერიალი
10.45 "ლეგენდა დაკარგულ ქალაქზე"
11.15 სერიალი "ნიკიტა"
12.10 მხ.ფილმი
14.00 სიმფსონები
14.30 მხ. ფილმი
17.00 ჰერკულესის თავგადასავალი
18.00, 00.20 კურიერი
18.20 ქართული ფილმი
19.50 დოკ. ფილმი "ველური გუნება"
21.00 60 წუთი
22.25 "ჩვენი ეზო"
23.45 "ჯეოსელის კინოკლუბი". "დაპირისპირება" 8 (77) 45-79-25 ჯეტ ლი, კარლა გიჯინო, "გზა" 8 (77) 45-79-26 ჯეფ გრიჯესი, ტიმ როგინსი, "გიჭეგი არ ტირიან" 8 (77) 45-79-27 ჰილარი სუონკი, პიტერ სკარგაარდი
00.30 მხ.ფ. "მე, ისევ მე და ირენი" მთ. როლებში ჯიმ კერი, რენე ზელვეგერი

პირველი არხი

08.00, 15.00, 20.00, 00.00 "მოამგე"
08.10 მულტსერიალი "გემგი"
09.20 დოკ. ფილმი "მოგზაურობა"
10.05 სატ. ფილმი "შვიდფერა ყვავილი"
10.35 ბავშვები, უპირველეს ყოვლისა!
10.50 "გლობუსი"
11.25 "მხიარული კარუსელი"
12.00 მხ. ფილმი "არდადეგები"
13.10 "მეტრო"
13.40 "განვითარების პროექტი საქართველოში"
13.55 "მრავალჟამიერ"
14.25 "არათბილისური ამბები"
15.15 "მანა"
18.15 "საკვირაო გამოფენა"
17.30 "ამბები ჩვენზე"
18.55 მუსიკალური ფესტივალი გერმანიაში
19.25 "ჩვენი მისამართია"
20.25 სატელევიზიო კინოდარგაზი "გია ყანჩელი"
21.25 "საქართველო არის ესე"
21.50 "გასტი-გუგუს დაგადების დღე"
23.35 დოკ.სერიალი "მეოცე საუკუნე"
00.10 მხ. ფილმი "შაუნცი"

მეორე არხი

19.00 იყო და არა იყო რა
19.30 მხ. ფილმი "ერთგული გული"
21.00 ვარსკვლავები გვამცნობენ
21.15 სერიალი "მხოლოდ შენთვის"
22.00 შვიდეული
23.00 მხ. ფილმი "დაკარგული"

ევრიკა

11.00 ცისკრის ზარები
11.05 მუსიკალური კოლაჟი
12.00 თეატრალური შესხვედრები
13.25 თბილისური ოჯახები
14.10, 22.00 მუსიკა
15.00, 21.00 ვესტი
15.30 საოცარი პირამიდა
17.00 სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, მისი უწმინდესობა ილია მეორის ქადაგება
17.20 საეკლესიო კალენდარი
17.35 საუბრები გიგლიაზე
19.00 მხ. ფილმი "მამგოზე გაგიჟებული"
22.30 "ევროპა და ევროპელები"
23.30 მსოფლიო სპორტი
00.30 მხ. ფილმი "არაასალგაზრდული კინო"

იბერია

08.00 ანონსი, მულტფილმი
08.15 აღსავალი
08.20, 10.10, 21.55, 00.45 მუსიკა
08.25 მხ.ფ. "ბორტს მიღმა"
10.20 მხ.ფ. "ქალაქებიდან ზორს"
20.00 მხ.ფ. "სექტემბერი"
22.30 მხ.ფ. "ლტოლვილი მატარებელი"
00.50 ღამის ფილმი

პირველი სტერეო

07.30 "მადლიანი ცნობა"
10.00 მუსიკალურ-გასართობი პროგრამა "ტროლა"
12.30 "ვიდეო-რადიო" განმეორებით
14.00 "სწ.მედია" მხ.ფ. "როკისა და გულვინკლის თავგადასავალი"
16.00 "უცნობი"
17.00 მუსიკა
19.00 ქართული მუსიკა
19.30 "ვიდეო-რადიო"
21.00 რომანტიკული მუსიკა
22.00 ინფორმატორი
23.00 "ცენტრი"
00.00 "ბარავო" მხ.ფ. "ბორტების სამყოფელი". მთ. როლებში მილა იოვოვიჩი, მიშელ როდრიგესი
01.40 ღამურა "ქალიან ველური რამეები". მთ. როლებში კრისტიან სლეიტერი, ჯონ ფავრო
03.10 ნონ-სტოპი

კავკასია

12.00 ინდ. მხ.ფილმი
14.30 მხ.ფ. "შემართულად"
16.00 მხ.ფ. "ლამაზმანი ჯო"
17.30 მხ.ფ. "ბოძილა"
19.40 მხ.ფ. "ბებერ ჯაბლაგები"
20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს"
21.40 მხ.ფ. "დიდების 15 წუთი"
00.20 მხ.ფ. "დრაკულა"

მეცხრე არხი

09.00 საინფორმაციო პროგრამა "დღის ამბები"
09.20, 11.50, 13.20, 18.45, 20.50, 23.55 მუსიკა
09.35 მულტფილმი "მეომარი გაყაყები"
10.00, 15.00 "დილა"
11.20 "ევროპის სტადიონებზე"
12.00, 17.50 დისკავერი
12.30 გადაცემა "საუბრები სტუდიაში"
13.35 მხ.ფილმი "ჩვენ ჯაზიდან ვართ"
16.20 მხ.ფილმი "ალი გაგა და 40 ყაჩაღი"
19.10 მულტფილმი "ტომი და ჯერი"
19.30 "მსოფლიო ფეხბურთი"
20.00 სად? რა? როდის?
21.00 დოკ. ფილმი "მიკროკოსმოსი"
22.15 მხ.ფ. "მოიშორეთ კარტერი". მთ. როლებში სილვესტერ სტალონე, მიკი რურკი
00.15 მხ.ფ. "სასტიკი რომანსი". მთ. როლებში ლარისა გუზეევი, ნიკიტა მიხალკოვი

აჭარის ტელევიზია

09.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
09.30 ქართული მოკლემეტრაჟიანი ფილმი "გურთი და მოედანი"
09.55 Слово
10.25 სათავგადასავლო ფილმი "ნაპოლეონი"
12.00, 16.00, 19.00 საინფორმაციო გამოშვება
12.15 ვესთერნი "ხეიდარი გვიახლოვდება"
14.10 დრამა "ფინდერის სია", 2 სერია
16.15 მულტფილმი "ცეროდენა ბოგონა"
17.40 თრილერი "უკანასკნელი მსხვერპლი"
19.20 დოკუმენტური ფილმი
20.45 ქართული მხატვრული ფილმი "ჭრიჭინა"
22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს"
22.30 Новости в воскресенье
22.50 "სათქმელი"
23.20 დოკუმენტური ფილმი
00.30 დრამა "ჰილარი და ჯეკი"
03.30 კომედია "ლიფტი"
05.00 დოკუმენტური ფილმი

VII არხი

18.00,19.30,01.30 ანონსი
18.30,21.50 ამინდის პროგნოზი
18.25 "ლა-ლა-ლა"
19.00 "აბიკუდა"
19.30 "სახლიდან გაუსვლელად" - კომპიუტერული ტექნიკა
20.05 "მელოდია"
20.35 "ავტოტრეკინგი"
21.17 "სახლიდან გაუსვლელად" - აუდიო-ვიდეო-ტელე
21.55 "კინოკლუბი" - "მაღალი ძერა შავფეხსაცმლიანი მამაკაცი".
23.10 "მელოდია"
23.45 "სახლიდან გაუსვლელად" - კომპიუტერული ტექნიკა
00.15 "კინოკლუბი" - "მხიარული აღდგომა"
01.55 "სახლიდან გაუსვლელად"
02.30 პრესის მიმოხილვა

ОРТ

07.50 "ТАЙНА ДВУХ ОКЕАНОВ". 2-я серия.
09.00, 15.00 Новости.
09.10 Служу России!
09.40 Дисней-клуб: "Тимон и Пумба".
10.05 "ЗАБЫТОЕ УБИЙСТВО". Часть 2-я.
11.00 Новости (с субтитрами).
11.10 Непутевые заметки с Дм.Крыловым.
11.30 Пока все дома.
12.05 "РАСПИСАНИЕ НА ПОСЛЕЗАВТРА".
13.45 "Ералаш".
14.00 Спасатели. Экстренный вызов.
14.30 Дисней-клуб: "Микки Маус и его друзья".
15.10 Живая природа. "Правда о гризли".
16.10 Сериал "БЕГЛЕЦ".
17.00 "Знатоки" возвращаются. в детективе "ПОДПАСОК С ОГУРЦОМ". Дело N 14. 2-я серия.
18.50 Концерт "Завтра в школу".
19.55 Джон Траволта в супербоевике Джона Ву "СЛОМАННАЯ СТРЕЛА".
22.00 Время.
22.30 Марлон Брандо и Вэл Килмер в остросюжетном фильме "ОСТРОВ ДОКТОРА МОРО".
00.25 "На футболе" с Виктором Гусевым.
00.50 Мэрилин Монро живет по-соседству в фильме "СЕМЬ ЛЕТ ЖЕЛАНИЯ".

РТР

07.45 Андрей Войновский, Роза Агишева в фильме "ЧУДАК ИЗ ПЯТОГО "Б".
09.10 "Русское лото".
10.00 "ТВ Бинго шоу".
10.35 "Америка: год спустя. Цветы на камнях".
11.05 "Америка: год спустя. Памятная черта".
11.40 "ХА". Маленкие комедии.
11.50 "Городок".
12.25 Леонид Куравлев, Татьяна Пельтцер в комедии "ТЫ - МНЕ, Я - ТЕБЕ".
14.10 "Поколение "икс"- поколение "ноль"?
15.00 ВЕСТИ.
15.20 "Вокруг света".
16.15 "Диалоги о животных".
17.05 "Два рояля".
18.05 "Комната смеха".
19.00 Джек Николсон, Мишель Пфайффер в фильме "ИСТВИКСКИЕ ВЕДЬМЫ".
21.00 ВЕСТИ. НЕДЕЛИ.
22.10 Роберт Де Ниро, Джеймс Вудс в фильме Серджо Леоне "ОДНАЖДЫ В АМЕРИКЕ".
02.20 Чемпионат мира по автогонкам в классе "Формула-1".

НТВ

07.40 Анонс дня.
07.45 Сериал "Неизвестная планета".
08.30 "Star старт"
09.00 Сегодня.
09.15 "ГУСАРСКАЯ БАЛЛАДА".
11.00 Сегодня.
11.20 Детектив "ОХОТА НА ЗОЛУШКУ"
12.20 "Растительная жизнь".
13.00 Сегодня.
13.25 Служба спасения.
14.00 Фильм "ДОЖИВЕМ ДО ПОНЕДЕЛЬНИКА".
16.05 Своя игра.
17.00 Сегодня.
17.25 Ток-шоу. "Принцип "Домино".
18.35 "Очная ставка". "Четырнадцать негритят".
19.10 "Новейшая история":
"1986г. "Гибель "Адмирала Нахимова".
20.00 Сегодня.
20.30 "ОХОТА НА ЗОЛУШКУ"
21.35 "ДОННИ БРАСКО - СТУКАЧ" (США).
00.00 "ОХРАННИК ДЛЯ ДОЧЕРИ (САРА)" (Польша).
02.15 - 04.00 "Пепси-чарт".

TV პროგრამები მოგვაწოდა სააგენტო "ინფოზავრმა"

წამალი "სალხინო"
ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,

მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.